ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 11 იანვარი 2008 №003 (3227) ფასი 50 თეთრი


# ტოპმიოლერის ციკლური ხელფასი 1 400 000 ევრო



მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდარი 14-15 იანვარს სოფიაში უნდა შედგეს და თუ ეს ვერ მოხერხდა, საქმეში ფიფა ჩაერთვება და მეტოქეთა ინტერესების გაუთვალისწინებლად, საკუთარ კალენდარს დაადგენს.

ეს მომავალი კვირის ამბებია და, ცხადია, ჩვენც მოუთმენლად ველით სოფიურ შეხვედრას... იქამდე კი, ვიდრე ბულგარეთში მეტოქეთა დელეგაციები შეიკრიბებიან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ერთი საინტერესო ამბავიც გავიგეთ. კერძოდ, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის სამომავლო ხელფასი ციკლში მილიონ ორასი ათასი ევროდან მილიონ ოთხასი ათასამდე იქნება. უჩა უგულავას თქმითვე, ტოპმიოლერი ახალი, ორწლიანი კონტრაქტით უფრო ნაკლებ ხელფასს მიიღებს, ვიდრე წინა შესარჩევი ციკლისას: „სამაგიეროდ, იქნება ბონუსები თითოეულ მოპოვებულ ქულაზე და, შესაძლოა, ტოპმიოლერმა წინა შესარჩევში მიღებულ თანხაზე მეტიც გამოიმუშავოს."

ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის თქმით, კლაუს ტოპმიოლერთან ორწლიანი კონტრაქტი სოფიიდან დაბრუნების შემდეგ გაფორმდება. სოფიაში კი ქართულ მხარეს ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, უჩა უგულავა და თავად კლაუს ტოპმიოლერი წარადგენენ.

ვნახოთ, რა როგორ იქნება, ჩვენებს კალენდრის სასურველი ვარიანტი უკვე გამზადებული აქვთ. ახლა საქმე ის არის, ამ კალენდარს მეტოქეებთან როგორ გაიტანენ.

**კობა ინასარიძე**

# დინამო წავიდა და დინამოდან წავიდნენ

## კობახიძე და უჩრინი ერთმანეთს დაშორდნენ





# გიორგი განუგრავა ბაზელშია

## ქართველის ტრანსფერს ლა მანგა გაარკვევს

„ის ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია. შეუძლია, როგორც მარცხენა მცველად, ასევე მარცხენა და ცენტრალურ ნახევარმცველად თამაში" — ეს სიტყვები შვეიცარიული „ბაზელის" მწვრთნელ კრისტიან გროსს ეკუთვნის, ადრესატი კი 19 წლის გიორგი განუგრავაა.

მოკლედ, დიდი შანსია, განუგრავას უკლუბოდ ყოფნას ბოლო მოეღოს. შვეიცარიული ვებგვერდები დიდ ყურადღებას უთმობენ ჩვენიანს და კარგადაც ახასიათებენ. გროსი კი ამბობს, განუგრავა მომავალ კვირაში ესპანეთში გასამართ „ლა მანგას" თასზე ჩვენთან ერთად წამოვა და საბოლოო მოლაპარაკებაც იქ შედგებაო.

საოცარია, მაგრამ ფაქტი კია: ფეხბურთელმა, რომელიც 18 წლისაც არ იყო და ეროვნულ ნაკრებში უკვე 10 მატჩი ჩაეტარებინა, ერთი წელია, უგუნდოდაა. განუგრავა პირველად 2005 წელს, გაიოზ დარსაძის თავკაცობისას მოხვდა ეროვნულ გუნდში, ორი მატჩი კი კლაუს ტოპმიოლერის მწვრთნელობისასაც ჩაატარა. მას შარშან ამ დროს დაუმთავრდა კონტრაქტი „ზესტაფონთან" და შემდეგ რამდენიმე უცხოურ გუნდში სცადა კარიერის გაგრძელება, მათ შორის, ბერძნულ „პანათინაიკოსშიც", თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა.

და თუ ტრანსფერი შედგა, მართლაც კარგი საქმე იქნება: „ბაზელი" შვეიცარიაში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, ბოლო წლებში ან ჩემპიონი ხდება, ან სამეულში შედის. ამ სეზონში კი სულაც 6-ქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობს სუპერლიგას.

**ილია ნანოგაშვილი**



# ბურდულის შვებულება

## უკრაინელი მებაჟეები ქართველს ჩამორთმეულ ფულს დაუბრუნებენ

**ლუგანსკის** „ზარიას" ქართველ ფეხბურთელ ლადო ბურდულს შვებულების პერიოდი უკრაინელმა მებაჟეებმა შეუმცირეს. ლადო დასასვენებლად არაბეთში მიემგზავრებოდა, მებაჟეებმა საზღვარზე თანხის ის ნაწილი რომ ჩამოართვეს, რომელიც დეკლარაციაში არ ჰქონდა ჩაწერილი...

„ეს შვებულება დიდხანს მემახსოვრება. 2 დეკემბერს ლუგანსკიდან თბილისში ჩასვლას ვგეგმავდი, ხოლო იქიდან კი, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში წასვლას. თუმცა უკრაინის საბაჟომ ქვეყნის დატოვების უფლება არ მომცა, რადგან იმაზე მეტი თანხა აღმომაჩნდა, ვიდრე დეკლარაციაში მქონდა მითითებული. საბოლოოდ, ის 20 დღე, ვიდრე ამ ფაქტთან დაკავშირებით ვითარებას გავარკვევდი, დნეპროპეტროვსკში მომიხდა დარჩენა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და ფულს მალე დამიბრუნებენ. დასასვენებლად წასვლა კი მაინც მოვასწარი, ოღონდ არა ზღვაზე, არამედ მთაში, ბაკურიანში, სადაც საცოლესთან და ჩემს შვილებთან ერთად თხილამურებით ვისრიალე. მერე მამასთან ერთად სანადიროდაც ვიყავი. მოკლედ, საბაჟოს ამბავს თუ არ ჩავთვლით, დრო კარგად გავატარე" — უთხრა უკრაინელ ჟურნალისტებს ბურდულმა, ვინც უკვე გუნდთან ერთად შეკრებაზეა.

**ბაჩა ზალამბერიძე**

### 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### ჩვენი მეტოქე

# რომანცევი დამტვრეულ რუსულს სწავლობსო...

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერის გადაბირება ბულგარეთის ფეხბურთის კავშირს სწორედ იმ დროს სურდა, როდესაც გერმანელ სპეციალისტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი დაუთმთავრდა, მაგრამ ჰერ კლაუსმა ქართველებს უერთგულა და უახლოეს დღეებში კონტრაქტსაც გააგრძელებს.



ბულგარეთის ნაკრები კი ჯერაც უმწვრთნელოდაა. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევში ჩვენმა მომავალმა მეტოქემ მთელი ქვეყანა მოიარა, მაგრამ სასურველ შეთანხმებამდე ვერ მივიდა — ტერი ვენეიბლზი, ვინი ფიშერი და სრეჩკო კატანეცი ის მწვრთნელები არიან, რომლებიც ბულგარეთის ფეხბურთის კავშირმა ვერ დაიყოლია, თუმც...

„ოლეგ რომანცევი ბულგარულს სწავლობს" — ასეთი სათაური გამოჩნდა რუსულ მასმედიაში.

თურმე რომანცევი და ბულგარეთის ფეხბურთის კავშირი რამდენიმე დღეა, მოლაპარაკებებს მართავენ, ოღონდ ამ ფაქტს ბულგარული ფეხბურთის ბოსებიც მალავენ და თავად რომანცევიც.

ერთიც: რუსულ და ბულგარულ მედიაში საკონტრაქტო თანხაც გაჟღერდა — 500 000 ევრო წელიწადში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### ესპანეთი

**თასის მერვედფინალი**
**პირველი მატჩები**

**ატლეტიკო 0:0 ვალიადოლიდი**

### საბერძნეთი

**თასის მერვედფინალი**

**კალამარია 1:2 ლარისა**

### ამხანაგური მატჩები

**აინტრახტი 1:1 ნიურნბერგი**

**გლადბახი 3:2 ვესტერლო**

**ვერდერი 2:0 ფრაიბურგი**

**ჰელსინგბორგი 1:2 ლაუტერნი**

**ჰამბურგი 2:1 ვასკუ და გამა**

**საამიროები 0:0 ჩინეთი**

# გურამ რუხაძეს სჯერა!

## ვიტ ჯორჯია კოხტა სტადიონსაც გვპირდება

წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე გუნდებიდან ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური თბილისის „ვიტ ჯორჯიაა". სეზონი არ გავა, კლუბმა რამდენიმე ფეხბურთელი არ გაასხვისოს, თუმცა ჩემპიონატში ვიტელები მაინც ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად რჩებიან. პირველი წრე ნესტორ მუმლაძის გუნდმა მესამე ადგილზე ჩაამთავრა და მეორე წრისთვის მზადებასაც შეუდგა. გუშინ კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძეს შევეხმიანეთ და, ვფიქრობთ, საკმაოდ საინტერესო საუბარიც გამოგვივიდა...



— გუნდმა ვარჯიში 25 დეკემბერს დაიწყო, შემდეგ რამდენიმე დღე საახალწლოდ დაისვენა, 3 იანვარს კი სამწვრთნელო პროცესი განახლდა. 8 იანვრიდან უკვე ბურთთან ერთად ვარჯიშობენ 35-ე სკოლის ხელოვნურსაფარიან მოედანზე. 16 იანვრიდან მცხეთაში ვგეგმავთ შეკრებას და ტესტ-მატჩებსაც ჩავატარებთ. უცხოურ შეკრებაზე გამგზავრებას 4 თებერვალს ვაპირებთ — თურქეთში 24 ფეხბურთელს წავიყვანთ.

**— როგორც ვიცით, გუნდის დატოვებას პაატა დათუნაიშვილი და ნიკა გელაშვილი აპირებენ...**

— ამჟამად ისინი ჩვენთან ვარჯიშობენ, მაგრამ ალბათ კარიერას უცხოეთში გააგრძელებენ. ნიკა ბელგიაში მიდის, პაატას ამბავი კი ჯერ გასარკვევია, თუმც არ გამოვრიცხავ, იგი მეორე წრეშიც ჩვენთან დარჩეს.

**— ალექსანდრე კვახაძის საკითხი როგორ გადაწყდა?**

— ამ ეტაპზე ის ჩვენთან რჩება. თუ მისაღები ვარიანტი გამოჩნდება, დავფიქრდებით.

**— კიდევ ხომ არ წავა ვინმე გუნდიდან?**

— ყველა, ვინც ახლა ემზადება, ჩვენთან დარჩება. გვინდა, რომ ძირითადი ბირთვი დიდხანს შევინარჩუნოთ. აი, ახლახან ლუკა რაზმაძესთან და გიორგი დათუნაიშვილთან 2-2-წლიანი კონტრაქტები გავაფორმეთ. დანარჩენებსაც გრძელვადიანი კონტრაქტები აქვთ და მათი გვეიმედება.

**— თქვენი კლუბი იმითაა ცნობილი, რომ ფარმ-კლუბიდან ყოველთვის კარგ შევსებას იღებთ...**

— ახლაც გამოვიყვანეთ რამდენიმე 17-18 წლის ბიჭი. მცველი კასრაძე, ნახევარმცველები — ჯანელიძე, ვასაძე და მაისაშვილი...

**— „ამერიდან" კი ბაჩანა ცხადაძე დაიმატეთ...**

— ნიკა გელაშვილი მიდის და მის ნაცვლად ამ პოზიციაზე შევსება გვჭირდებოდა. გვყავს ირაკლი კოკნაძე და დავით ბერიაშვილი, თუმცა ცხადაძის მოსვლით კარგი კონკურენცია შეიქმნება... „ბორჯომიდან" დავიბრუნეთ მცველი თემურ ლონლაძე, რომელიც, ჩემი აზრით, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ახლა ყველა პოზიციაზე სამ-სამი ფეხბურთელი გვყავს. ჯანსაღი კონკურენცია კი ძალიან აუცილებელია. ისიც სათქმელია, რომ ჩვენი კლუბის ისტორიაში ეს ყველაზე ახალგაზრდული გუნდია.

**— რას ფიქრობთ ეროვნული ჩემპიონატის დონეზე?**

— ვთვლი, რომ ჩემპიონატის დონე ნელ-ნელა მატულობს. შესაძლოა, ტემპი, არ იყოს მაღალი, მაგრამ მაინც შესამჩნევია. ორგანიზაციულადაც წინ მივიწევთ. ახლახან ჩემპიონატის გენერალური სპონსორი ვითიბი-ბანკი გახდა, კომპანია „კოლხიდაც" თანხებით დაეხმარება ქართულ ფეხბურთს, რაც პრემიალურ სისტემას გაზრდის და შედეგს აუცილებლად მოგვცემს. რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენი ჩემპიონატის დონე საშუალო ევროპულს გაუტოლდება — მე ამის მჯერა...

**— დონე მატულობსო, თქვით, მაგრამ ევროთასებზე ეს მაინცდამაინც არ ჩანს...**

— უკვე ვთქვი და გავიმეორებ, პროგრესის ტემპი დამაკმაყოფილებელი არ არის. გახსოვთ, „ამერს" ჯერ „ჰერტას", შემდეგ კი „ბელხატუვს" როგორ ეთამაშა?! „ვიტ ჯორჯიასაც" არ შეურცხვენია თავი „არტმედიასთან"... ნელ-ნელა საშუალო ევროპულ გუნდებს დავეწევით და უკეთესადაც გამოვალთ ევროთასებზე.

**— სეზონის წინ რა მიზანი დაისახეთ?**

— შარშან ჩვენ, ფაქტობრივად, ახალი გუნდის ჩამოყალიბება დავიწყეთ და ჩვენი მიზანი იყო, რაც შეიძლება, მაღალ ადგილზე ავსულიყავით. ახლა მესამეზე ვართ და თუ სეზონს ასე დავასრულებთ, კარგი იქნება, თუმცა არაფერს გამოვრიცხავ — შეიძლება, მეტსაც მივაღწიოთ.

**— რატომ ხდება, რომ „ვიტ ჯორჯია" თასისთვის ბრძოლას მალევე ეთიშება ხოლმე...**

— ჩვენ სათასო შეხვედრებსაც სრული სერიოზულობით ვეკიდებით, მაგრამ ჯგუფურ ეტაპზე ახალგაზრდებს უფრო ვაძლევთ თავის გამოჩენის საშუალებას. 6 შეხვედრა ცოტა არ არის და ამ მატჩებში ბევრი პერსპექტიული ფეხბურთელი აღმოვაჩინეთ.

**— საქართველოში კლუბის შენახვა რთულია. თქვენთან რა ხდება ამ მხრივ?**

— ახლახან ორ კომპანიასთან გავაფორმეთ ხელშეკრულება — ერთი ამერიკული „ჰილსია", მეორე კი ქართულ-ამერიკული „ზოოპლაზა". „ულსპორტთანაც" გვაქვს ხელშეკრულება — მათი შეკერილი ფორმა გვაცვია და მალე სწორედ ახალი სპონსორების სახელებს დავიწერთ მაისურებზე.

**— ერთიც მინდა გკითხოთ: „ვიტ ჯორჯია" საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე გუნდია და, სამწუხაროდ, მცხეთაში, „არმაზის" სტადიონზე გულშემატკივრებისა და ჟურნალისტებისთვის ელემენტარული პირობები არ არის შექმნილი. რატომ არ ექცევა სტადიონს ყურადღება?**

— ვერ ვიტყვი, რომ ელემენტარული პირობები არ არის, თუმცა, რა თქმა უნდა, მეტია საჭირო და ამ საკითხზე ვფიქრობთ. იცით, რაშია საქმე? სტადიონის რეკონსტრუქცია რომ დავიწყოთ, მაშინ რა თანხებსაც კლუბს ვახმართ, ის უნდა დავხარჯოთ. ასე რომ მოვიქცეთ, კოხტა სტადიონი კი გვექნება, მაგრამ გუნდი აღარ გვეყოლება... გპირდებით, რომ უახლოეს მომავალში „ვიტ ჯორჯიას" გაკოხტავებული სტადიონი ექნება.

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოსო გრიშიკაშვილი



ბორის გონჩაროვი



გიორგი ფეიქრიშვილი



სანდრო კობახიძე



დუშან უჰრინმა და მისმა თანაშემწეებმა „დინამო“ ანთალიაში წაიყვანეს

# დინამო წავიდა და დინამოდან წავიდნენ

## კობახიძე დნიპროში, გონჩაროვი სხვა გუნდში, გრიშიკაშვილი და ფეიქრიშვილი ტრანსფერზე

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას თბილისის „დინამო“ 3 იანვარს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეუდგა, დღეს კი პირველ ორკვირიან შეკრებაზე ანთალიაში გაემგზავრა.

სატრანსფერო ბაზარზე „დინამო“ ჯერჯერობით არ აქტიურობს და, შესაბამისად, აქამდე ახალიც არავინ შეუმატებია, თუმცა ანთალიაში არც მთლად უცვლელი შემადგენლობა წასულა. დუშან უჰრინმა „დინამო 2“-დან ერთშაბად ოთხი ჭაბუკი დააწინაურა: გიორგი ქავთარაძე, გიორგი ლოსაბერიძე, ლევან კაკუბავა და ზვიად ქანთარია მთავარ გუნდთან ერთად მიემგზავრებიან და ეგებ მეორე წრეში ძირითადშიც ვნახოთ.

ანთალიაშივე იქნებიან „ბორჯომში“ განათხოვრებულნი და „დინამოში“ ახლახან დაბრუნებულნი, შოთა გრიგალაშვილი და გიორგი ნერგაძე. სულ კი დუშან უჰრინმა ანთალიაში 24 ფეხბურთელი წაიყვანა.

გუნდი ბათუმში გაჩერებით ტრაპიზონამდე საკუთარი ავტობუსით იმგზავრებს და ანთალიაში იქიდან გაფრინდება.

*დიდიე ოვონო, გიორგი ლორია, დავით დიღმელაშვილი, მიხეილ ხუციშვილი, გიორგი ნერგაძე, გურამ კაშია, ლევან ხმალაძე, შოთა კაშია, გიორგი მერებაშვილი, გულვერდ თომაშვილი, გიორგი ლოსაბერიძე, ოლეგ გველესიანი, მათე ვაწაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი ქავთარაძე, ნედ ზელიჩი, ილია სპასოევიჩი, რომან დობეში, მილოშ კრშკო, ჟორჟ აკირემი, ლევან კაკუბავა, შოთა გრიგალაშვილი, ზვიად ქანთარია, ნიკოლოზ ფირცხალავა* — აი, ეს ფეხბურთელები არიან უჰრინის სიაში.

ახლა გუნდიდან წასულებზე. „დინამოსთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა თავდამსხმელ ბორის გონჩაროვს და მას ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს. სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო ორმხრივი სურვილით ტრანსფერზე არიან გამოცდილი მეკარე სოსო გრიშიკაშვილი და ფლანგელი ნახევარმცველი გიორგი ფეიქრიშვილი. „დინამოდან“ დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ საკონტრაქტო პირობების შესათანხმებლად გუშინ წავიდა სანდრო კობახიძე და, როგორც ამბობენ, ალბათ, იქვე დარჩება. „დინამოსა“ და ფეხბურთელის მოთხოვნები უკრაინელთათვის ცნობილია და, სავარაუდოდ, ეს საქმე არც გაჭიანურდება...

ანთალიაში მყოფი „დინამო“ კი სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს — 15 იანვარს ჩვენები კიევის „არსენალს“ შეხვდებიან, 19 იანვარს ზაპოროჟიეს „მეტალურგს“, ხოლო 22-ში დონეცკის „მეტალურგთან“ უნდა ეთამაშათ, თუმცა დონეცკელებმა მზადების გეგმა შეცვალეს და თბილისელებსაც ალბათ სხვა გუნდთან მოუწევთ თამაში.

„დინამო“ შინ 23 იანვარს დაბრუნდება.

**კობა ინასარიძე**

# ხუბუტიას სამს პლუს კვარაცხელიას ერთი

## კაუნასს მანჩხავა გამოაკლდა

**ლიტვის** ჩემპიონმა „კაუნასმა“ „თანამეგობრობისა და ბალტიის ქვეყნების“ თასისთვის მზადება უკვე დაიწყო.

კაუნასელებმა უკვე სამი მატჩი გამართეს: ერთხელ „შილუტესთან“ შერეული, ხოლო ორჯერ ბელარუსულ ბატე-სთან სხვადასხვა შემადგენლობით.

ბალტიისპირულ გუნდში მოთამაშე ქართველები სამივე მატჩში შედეგიანობით გამოირჩნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა მცველ აკაკი ხუბუტიას ყოჩაღობა — ორ მატჩში სამი გოლი.

ხუბუტიამ ჯერ „შილუტესთან“ (2:0) შეხვედრაში დუბლი შეასრულა, შემდეგ კი ბატე-სთან 2:1 მოგებულ თამაშში პირველი გოლის ავტორი შეიქნა.

ერთიც: „შილუტე“ აკაკი ხუბუტიას ყოფილი გუნდია, სადაც კაუნასელებმა იგი შარშან გაანათხოვრეს და მხოლოდ სეზონის ბოლოსკენლა დაიბრუნეს...

გოლით გამოირჩა გივი კვარაცხელიაც, თუმცა იმავ ბატე-სთან მეორე ცდაზე ბალტიელები 1:2 დამარცხდნენ.

ამ შეხვედრებში არ გამოჩენილა კიდევ ერთი ქართველი ნუკრი მანჩხავა, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ბორჯომში ბორჯომი დარჩა

**ეროვნული** ჩემპიონატის პირველ წრეში „ბორჯომი“ ყოჩაღად გამოიყურებოდა და მეტოქეებს „სისხლს უშრობდა“, თუმც როგორ იქნება კურორტელთა საქმე მეორე წრეში, ჯერაც უცნობია.

„ყველა ჩამოსულმა ფეხბურთელმა დაგვტოვა, მარტო ადგილობრივები დარჩნენ. ახლა ფინანსური საკითხია გადასაჭრელი, ალბათ 15 იანვრამდე მოგვარდება და ყველა ფეხბურთელს დავიბრუნებთ“ — გვითხრა ბორჯომელთა მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ხაჩიძემ.

შოთა გრიგალაშვილი და გიორგი ნერგაძე „დინამოს“ დაუბრუნდნენ. ერთადერთი შოთა ჯიქია იყო, ვისაც კონტრაქტი აკავშირებდა და ისიც ბოლნისის „სიონში“ ვარჯიშობს, დანარჩენები კი თავისუფლები არიან და თუ ბორჯომელები ფინანსებს ვერ გამოძებნიან, მათ გუნდში აყვანაზე უარს არავინ იტყვის...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიმურგის ქართული ტრადიცია

## ვინ დაემატება ტესტ-სამეულს?

**ბოლო** წლებია, აზერბაიჯანული „სიმურგი“ მოსამზადებელ ეტაპს საქართველოში გადის და გამონაკლისი არც ახლა იქნება — აზერბაიჯანელები 20 იანვრიდან ჩამოვლენ საქართველოში.

აზერბაიჯანული პრესის ცნობით, „სიმურგს“ ქართულ გუნდებთან სამი საკონტროლო მატჩი უკვე დაგეგმილი აქვს — ჩვენმა მეზობლებმა სასპარინგოდ თბილისის „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“ და „ბორჯომი“ შეარჩიეს.

არ არის გამორიცხული, ამათ კიდევ ერთი გუნდი დაემატოს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


მალხაზ ასათიანი

# შეკრებამდელი სამედიცინო ქართველებს

**მოსკოვის** „ლოკომოტივმა“ სამედიცინო შემოწმება გაიარა და სხვებთან ერთად ექიმებს გაესინჯნენ ქართველი ფეხბურთელებიც — მალხაზ ასათიანი და გიორგი ჭელიძე.

12 იანვარს „ლოკომოტივი“ თურქეთში ჩავა პირველი შეკრების გასავლელად და დიდი შანსია, მთავარ გუნდს გაჰყვეს ჭელიძეც, ვინც რკინიგზელებს „ზესტაფონში“ ჰყავდათ განათხოვრებული და ახლახან დაიბრუნეს.

თურქეთში „ლოკომოტივი“ 22 იანვრამდე დარჩება, 26-იდან კი ესპანეთში გაემგზავრება, სადაც ოთხთა ტურნირში ითამაშებს.

**ბაჩა შალამბერიძე**

# გოგუა და ნალჩიკი: თითქმის მიღწეულია

**გოგიტა გოგუას** ნალჩიკის „სპარტაკში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია — ეს ჩვენი ვარაუდი არაა, ფეხბურთელის ოჯახში გვითხრეს.

24 წლის საყრდენი ნახევარმცველი უკვე ერთი კვირაა, ნალჩიკელებთან ერთად თურქეთშია შეკრებაზე, 18 იანვარს კი ცოტა ხნით თბილისში ჩამოვა.

ძნელი დასაჯერებელია, ყაბარდოულმა კლუბმა გოგუას დატოვება არ მოიწადინოს. ჩვენიანმა ხომ საუკეთესო სეზონი სწორედ იქ გაატარა — ლაპარაკია 2006 წლის სეზონზე, როდესაც გოგიტა რუსული პრემიერლიგის საუკეთესო დებიუტანტადაც აღიარეს. თან „სპარტაკს“ ახლაც იური კრასნოჟანი წვრთნის, ვისაც გოგიტა ძალიან მოსწონს.

სურვილი ერთია და, ნალჩიკელებს ფულის გადახდაც მოუწევთ და, სავარაუდოდ, არცთუ ცოტასი — გოგუას კვლავაც ანდრეი ჩერვიჩენკოსთან აქვს პირადი კონტრაქტი, ის კი ქართველს საკმაოდ ძვირად აფასებს.

თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ტრანსფერი თითქმის მოგვარებულია...

**ილია ნანოგაშვილი**




კლიმენტი წიტაიშვილი

# წიტაიშვილის დუბლი და მაღრაძის კინკილა

**საბერძნეთიდან** კვიპროსზე გადაბარგებულმა ლევან მაღრაძემ კუნძულზე თავისი პირველი გოლი გაიტანა. მისმა ლიმასოლის „აპოლონმა“ კი ქვეყნის თასის მეოთხედფინალში შინ „ეთნიკოსი“ 5:1 გაანადგურა.

მაღრაძემ მეოთხე გოლი შეაგდო.

თავისი გუნდის პირველი და ბოლო გოლები თემურ ქეცბაიას „ანართოსისში“ დაბრუნებულმა კლიმენტი წიტაიშვილმა გაიტანა. თან ბოლო გოლი გადამწყვეტიც გამოდგა — მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ქართველმა ფეხბურთელმა გამარჯვებისა შეაგდო და „ანართოსისმა“ ამხანაგურ მატჩში 4:3 დაამარცხა ბელგიური „მეხელენი“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ექვსი ნაბიჯი ფიორენტინამდე

## ზესტაფონმა სერია ძველ წელს დაუტოვა

**წლეულს** „ზესტაფონმა“ ეროვნულ ჩემპიონატში ზედიზედ წაუგებლად თამაშის ახალი რეკორდი დაამყარა: 2006 წლის 9 სექტემბერს საჩხერის „ჩიხურას“ ძლევით იმერლებმა სარეკორდო სერია წამოიწყეს, რომელიც 34-მატჩიან ნიშნულზე, 2007 წლის 6 დეკემბერს თბილისის „დინამოსთან“ 0:2 მარცხით დასრულდა.

ეროვნულ ჩემპიონატში წაუგებლად თამაშის მსოფლიოს რეკორდი კოტდიუვარულ კლუბ „ასეკს“ ეკუთვნის, როცა მათ ფრანგი ფილიპ ტრუსიე ედგათ სათავეში — 1989-1994 წლებში 108 შეხვედრა არ წაუგიათ.

ევრორეკორდი კი რუმინულ „სტიაუას“ ეკუთვნის — 104 მატჩი.

მათ მიღწევაში ხიბლი ის არის, რომ რეკორდი დამყარებულია რუმინელი დიქტატორის, ნიკოლაე ჩაუშესკუს დროს და ის, რომ „სტიაუა“ მისი განსაკუთრებული ყურადღებითა და სიყვარულით იყო განებივრებული, ცნობილი ამბავია.

მართალია, ზესტაფონელთა სერია 34 მატჩზე შეწყდა, თუმცა აქვე ვიტყვით, რომ იმერლები კვლავაც განაგრძობენ საშინაო შეხვედრებში დაუმარცხებლად თამაშს — 2005 წლის 30 ოქტომბერს გორის „დილასთან“ მოგების შემდეგ ეს სერია უკვე 31 მატჩს ითვლის.

ამ ცხრილში მსოფლიოს 40 და მეტი მატჩის წაუგებელთა სიას გთავაზობთ, რომელში მოსახვედრადაც „ზესტაფონს“ ოდენ 6 თამაში დააკლდა...

**ბაჩა შალამბერიძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ასეკი | კოტ დივუარი | 108 | 1989 | 1994 |
| 2 | სტიაუა | რუმინეთი | 104 | 1986 | 1989 |
| 3 | ესპერანსი | ტუნისი | 85 | 1997 | 2001 |
| 4 | სელტიკი | შოტლანდია | 62 | 1915 | 1917 |
| 5 | სენ-ჟილუაზი | ბელგია | 60 | 1933 | 1935 |
| 6 | ბოკა ხუნიორსი | არგენტინა | 59 | 1924 | 1927 |
| 7 | პიუნიკი | სომხეთი | 59 | 2002 | 2004 |
| 8 | მილანი | იტალია | 58 | 1991 | 1993 |
| 9 | ოლიმპიაკოსი | საბერძნეთი | 58 | 1972 | 1974 |
| 10 | სკონტო | ლატვია | 58 | 1993 | 1996 |
| 11 | ბენფიკა | პორტუგალია | 56 | 1976 | 1978 |
| 12 | პენიაროლი | ურუგვაი | 56 | 1966 | 1969 |
| 13 | დალიან ვანდა | ჩინეთი | 55 | 1995 | 1997 |
| 14 | ემპაიერი | ანტიგუა | 55 | 1997 | 2000 |
| 15 | შახტარი | უკრაინა | 55 | 2000 | 2002 |
| 16 | პრინსიპატი | ანდორა | 54 | 1997 | 1999 |
| 17 | პორტო | პორტუგალია | 53 | 1994 | 1996 |
| 18 | სილექსი | მაკედონია | 53 | 1994 | 1997 |
| 19 | აიაქსი | ჰოლანდია | 52 | 1994 | 1996 |
| 20 | ზამალეკი | ეგვიპტე | 52 | 2002 | 2004 |
| 21 | სპარტა | ჩეხოსლოვაკია | 51 | 1920 | 1923 |
| 22 | ბარი თაუნი | უელსი | 51 | 1997 | 1998 |
| 23 | ცრვენა ზვეზდა | იუგოსლავია | 51 | 1999 | 2001 |
| 24 | რასინგი | არგენტინა | 51 | 1913 | 1915 |
| 25 | არსენალი | ინგლისი | 49 | 2003 | 2004 |
| 26 | მაარდუ | ესტონეთი | 49 | 1999 | 2001 |
| 27 | ნორმა | ესტონეთი | 48 | 1991 | 1993 |
| 28 | ბეშიქთაში | თურქეთი | 48 | 1991 | 1992 |
| 29 | კარედა | ლიტვა | 48 | 1997 | 1999 |
| 30 | სან-ლორენსო | არგენტინა | 48 | 1926 | 1927 |
| 31 | დინამო | რუმინეთი | 47 | 1991 | 1992 |
| 32 | ობილიჩი | იუგოსლავია | 47 | 1997 | 1999 |
| 33 | სკონტო | ლატვია | 47 | 1996 | 1998 |
| 34 | დინამო | ალბანეთი | 46 | 1955 | 1956 |
| 35 | ფლორა | ესტონეთი | 46 | 1993 | 1995 |
| 36 | მ. ჰაიფა | ისრაელი | 46 | 1993 | 1994 |
| 37 | დინამო (კიევი) | სსრკ | 45 | 1980 | 1981 |
| 38 | ალ-აჰლი | ეგვიპტე | 45 | 1998 | 1999 |
| 39 | პარტიზანი | იუგოსლავია | 45 | 1996 | 1997 |
| 40 | ჰართსი | განა | 44 | 2002 | 2004 |
| 41 | პალესტინო | ჩილე | 44 | 1977 | 1978 |
| 42 | ნოტინგემი | ინგლისი | 42 | 1977 | 1978 |
| 43 | პიუნიკი | სომხეთი | 41 | 1995 | 1996 |
| 44 | ვინერ სკ | ავსტრია | 41 | 1957 | 1959 |
| 45 | ბოკა ხუნიორსი | არგენტინა | 40 | 1998 | 1999 |
| 46 | დუნაფერი | უნგრეთი | 40 | 1999 | 2000 |
| 47 | ფიორენტინა | იტალია | 40 | 1955 | 1956 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბლატერის კრიტიკა და კაპელოს მოლოდინი



**ინგლისის** ნაკრების მთავარ მწვრთნელად ფაბიო კაპელოს დანიშვნას ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერიც გამოეხმაურა. მისი თქმით, იგი ცოტა გაკვირვებული დარჩა ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით.

„ინგლისი მსოფლიოს ფეხბურთის ერთგვარი დაუწერელი წესებიდან ამოვარდა. არასდროს მინახავს იტალიას, გერმანიას, ბრაზილიას ან არგენტინას სხვა ეროვნების სპეცილისტი წვრთნიდეს. წარმატებული და დიდი ნაკრებების უმეტესობას სხვა ეროვნების მწვრთნელები არ ჰყავთ. ახლა რომელ უცხოურ გუნდს წვრთნის ინგლისელი სპეციალისტი? აშკარაა, რომ ინგლისში მწვრთნელების მხრივ ახლა რთული პერიოდი დგას. სერიოზული პრობლემაა ის, რომ კაპელომ ინგლისური არ იცის. აუცილებელია, რომ მწვთნელმა თავისი შეგირდები დაგეშოს და მოტივაცია მისცეს მათ. კაპელოს არჩევის შეფასება და ნეგატიურად საუბარი ჩემი საქმე არ არის. ძალიან გახარებს ის, რომ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ დაიწყო ზრუნვა მწვრთნელების სკოლაზე“ — აღნიშნა 71 წლის ბლატერმა.

შეგახსენებთ, რომ კაპელოს პირველი გამოცდა ინგლისის ნაკრების თავკაცის პოსტზე 6 თებერვალს შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩში შედგება. 61 წლის სპეციალისტს ერთი სული აქვს, როდის მოვა ეს მომენტი.

„ველარ ვითმენ, ჩემთვის დიდი პატივია ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა და მინდა, რაც შეიძლება მალე მოვიდეს შვეიცარიასთან მატჩი. ასეთ მნიშვნელოვან სამუშაოზე დიდი ხანი ვოცნებობდი და მსურს, დასახულ მიზნებს მივაღწიო. ნაკრების მწვრთნელობა და კლუბის თავკაცობა ერთმანეთისგან ბევრი რამით განსხვავდება. რა თქმა უნდა, დიდ ზეწოლასაც ვგრძნობ, მაგრამ ამისთვის მზად ვარ“ - განაცხადა კაპელომ.

**ძოძი ძანდელაძი**

# კაჭკაჭი ჩამოვარდა

## ალარდაისის დაისი

**„ნიუკასლის“** „მთავარკაჭკაჭი“ ხემ ალარდაისი მოხსნეს. ამის შესახებ კლუბის შეფმა კრის მორტმა ოფიციალურად განაცხადა: „ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ალარდაისთან კონტრაქტი გავწყვიტეთ. დიდი მადლობა მას გაწეული შრომისთვის და მომავალში წარმატებებს ვუსურვებთ. გუნდისთვის ახალი თავკაცის ძებნა უკვე დავიწყეთ და ეს საქმე მალე მოგვარდება“.

53 წლის ალარდაისმა „ბოლტონი“ მაისში მიატოვა და „ნიუკასლი“ ჩაიბარა. „კაჭკაჭებთან“ სამწელიწადნახევრიანი ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ რვა თვის შემდეგ გაათავისუფლეს, რადგან მაღლამაღლა ვერ მიფრინავდა. მის ხელში გუნდმა 21 მატჩიდან შვიდი მოიგო, ბოლო სამ ტურში კი ზედიზედ სამჯერ დამარცხდა. მიუხედავად იმისა, რომ „ნიუკასლი“ მე-11 ადგილზეა და პრემიერლიგიდან გავარდნა არ ემუქრება, ალარდაისმა სამუშაო მაინც დაკარგა. კრის მორტმა მწვრთნელს ასოციაციის თასზე „სტოკთან“ უგოლო მატჩი არ აპატია. „გული მწყდება, მაგრამ კლუბისთვის ასე ჯობს და ფეხბურთელებს ყოველივე კარგს ვუსურვებ“ — თქვა გათავისუფლებულმა.



„კაჭკაჭებს“ დროებით ალარდაისის თანაშემწე ნაიჯელ პირსონი უთავკაცებს, ვისაც ხვალ „მანჩესტერთან“ სტუმრად გამოცდის ჩაბარება მოუწევს.

„ნიუკასლში“ არეულობა ნოემბრის ბოლოსვე შეიმჩნეოდა. „სანის“ ყოვლისმცოდნე ჟურნალისტებმა გამოჩხრიკეს, რომ ალარდაისს რამდენიმე ვეტერანი ფეხბურთელი აუჯანყდა, რომლებიც ტაქტიკას უწუნებდნენ და ჯერემი ნჯიტაპისთვის კაპიტნის სამკლავურის ჩაბარებაც გააპროტესტეს. მაშინ მწვრთნელმა ჯანყი უარყო და თქვა, გუნდში ყველაფერი რიგზეაო, მაგრამ ტყუილის ფეხმოკლეობა მალევე გამოჩნდა.

„ნიუკასლის“ მწვრთნელობას ალან შირერს უწინასწარმეტყველებენ და ბრიტანელი ბუქმეიკერების ფავორიტიც ყოფილი ფორვარდი გახლავთ. კევინ კიგანის წასვლის (1997) შემდეგ გუნდმა უკვე მეექვსე თავკაცი გამოიცვალა, მაგრამ ერთი ჯილდოც ვერ მოიგო.

ბოლოს კი ჩამოვთვალოთ მწვრთნელები, რომლებიც პრემიერლიგის კლუბებმა ამ სეზონში მოხსნეს: ჟოზე მაურინიუ (ჩელსი), სემი ლი (ბოლტონი), მარტინ იოლი (ტოტენჰემი), კრის ჰათჩინგსი (უიგანი), სტივ ბრიუსი (ბირმინგემი), ბილი დევისი (დერბი) და ლოური სანჩესი (ფულემი).

**ვაჟა ხუციშვილი**






# უფლისწული და ბექემი

**როგორც** მასმედიისთვის გახდა ცნობილი, ინგლისის ბრძოლას მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის სამასპინძლოდ დევიდ ბექემი და პრინცი უილიამი გაუძღვებიან. პრინცი დიპლომატიური ლიდერისა და სარეკლამო სახის ფუნქციას დათანხმდა, ხოლო ბექემი სპორტზე შეყვარებულ უავგუსტეს ფიგურას მარჯვენა ხელად დაუდგება. ხელშეკრულება სამშაბათს დაუნინგ სტრიტზე ანუ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ოფისში გაფორმდა, ხოლო ჭორიკნებმა ამ ყველაფერს უკვე უწოდეს „პოშ ენდ ბექზ კამპანია“, აქაოდა ყველაფერს ისევ და ისევ დევიდის პოპვარსკვლავი მეუღლე ვიქტორია მართავსო.

ცნობისათვის: ბექზისა და პოშის გარდა პროექტის თვალი იქნება ლეგენდარუულლი მძლეოსანი, ლორდი სებასტიან კოეც, რომელსაც ამ საქმეში ქიციც მოეხსენება და ქიცმაცურიც — ლონდონმა 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობა სწორედ სერ კოეს დიდი ძალისხმევის შედეგად მიიღო.

სამეფო ოჯახის დაახლოებული პირი: „უილიამის საქმე პროექტზე მაქმანების გამოყვანა იქნება და ამაში მას ბექემები დაეხმარებიან. ეჭვი არ არის, რომ ასეთი პარტნიორობა ინგლისს მხოლოდ და მხოლოდ სიკეთეს მოუტანს“.

აღსანიშნავია, რომ პრინცი უილიამი ნომინალურად ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი გახლავთ, ასე რომ ის, წესითა და რიგით, თანამდებობრივადაც უნდა ყოფილიყო საქმეში ჩართული. საკუთრივ ფეხბურთის ასოციაციაციამაც იყოჩაღა — ქვეყნის პრემიერ-მინისტრის გორდონ ბრაუნის მხარდაჭერა მოიპოვა, რის შედეგადაც ბრიტანეთის მთავრობის წევრები საფეხბურთო პროექტის ავტორებს შესაფერისი ფიგურების შერჩევაში ეხმარებიან. აღსანიშნავია, რომ ბექზმა, რომელიც ამერიკაში, „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ თამაშობს, პრემიერ ბრაუნს პროექტში მუდმივ თანამდებობაზე უარი უთხრა, თუმცა აღუთქვა, რომ „მიმოსვლით“ ძალსა და ღონეს არ დაიშურებს.

„ჩემთვის ამ ქვეყანაში მსოფლიოს ჩემპიონატის მოწყობა ჩვეულებრივ ოცნებაზე მეტია“ — განაცხადა ბექზმა დაუნინგ სტრიტზე საუბრისას.

**პაპუნა ძედია**

## ლამურას გადაფრენა ევერტონში

**„ვალენსიამ“** ნახევარმცველი მანუელ ფერნანდესი „ევერტონს“ სეზონის ბოლომდე ათხოვა. 21 წლის პორტუგალიელი „ლამურებმა“ აგვისტოში „ბენფიკადან“ იყიდეს. მის სანაცვლოდ, დაახლოებით, 13 მილიონი ევრო გადაიხადეს და ექვსწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, მაგრამ ფერნანდესმა ამ სეზონში ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ხუთჯერ ითამაშა. ნახევარმცველი „ბენფიკადან“ შარშანაც იყო განათხოვრებული „პორტუსა“ და „ევერტონში“.

## სვენს მანსინი არ ასვენებს

**„მანჩესტერ სიტის“** მწვრთნელმა სვენ-გორან ერიკსონმა დაადასტურა, რომ „რომადან“ ამანტინო მანსინის შეძენა სურს. „მანსინი ჩვენს გუნდს ძალიან წაადგება და იმავე „წონის“ ფეხბურთელი გახდება, რაც „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ კრიშტიანუ რონალდუა — თქვა შვედმა — ვიცით, რომ „რომასთან“ ბრაზილიელი კონტრაქტის გახანგრძლივებას უარობს და ამით უნდა ვისარგებლოთ“.

## უკრაინა თავს ელის

**უკრაინის** ნაკრების მწვრთნელად დღეს, შესაძლოა, ალექსეი მიხაილიჩენკო დანიშნონ, რომელიც ახალგაზრდულს თავკაცობდა. ოლეგ ბლოხინმა ეროვნული გუნდი ევრო 2008-ის შესარჩევის დასრულების შემდეგ დატოვა და „მოსკოვში“ წავიდა. ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი სამი იყო: ოლეგ პროტასოვი, მირონ მარკევიჩი და ალექსეი მიხაილიჩენკო, ფედერაციის არჩევანი კი სწორედ ამ უკანასკნელზე შეჩერდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი ცოლის მეგობრის ქმარი ჩემი მეგობარია



**რვათვიანი** უქმობის შემდეგ ტრავმამოშუშებული მიხაელ ბალაკი „ჩელსის“ დაუბრუნდა, კაპიტნის სამკლავურიც მოირგო და გოლებიც გაიტანა. ებრაულ გაზეთ „ხაარეცთან“ საუბარში 31 წლის გერმანელმა გუნდის „სამზარეულოზე“ ისაუბრა და თქვა, რომ მთავარი, რამაც „ჩელსი“ მაურინიუს წასვლის შემდეგ ისევ შეკრა, კომპიუტერული თამაშია.

„ბაიერნში“ თანაგუნდელები ძალიან ხშირად ვთამაშობდით ბანქოს, რომელიც ხანდახან მენატრება — ბრძანა ბალაკმა — „ჩელსიში“, როცა ავტობუსით ვმგზავრობთ, „ფლეისთეიშენით“ ვერთობით. რამდენიმე ჯგუფად ვიყოფით და ერთმანეთს ვეჯიბრებით. ეს განწყობის შესაქმნელად საუცხოო „წამალია“ და შედეგად ფეხბურთელებს შორის სასიამოვნო ურთიერთობა იქმნება“.

ჟოზე მაურინიუს გაშვებამ და ავრაამ გრანტის მოულოდნელმა დანიშვნამ „ჩელსიში“ წყალი აამღვრია, მაგრამ ბალაკი ამტკიცებს, რომ ვითარება თითქმის იდეალურია. გერმანელმა ფაქტიც მოიყვანა: გუნდმა გრანტის ხელში 22 მატჩიდან მხოლოდ ორი წააგო და ორივე — სტუმრად.

მიხაელ ბალაკს რვა თვე გაუცდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შემადგენლობაში ადგილი უმალ დაიმკვიდრა და მწვრთნელის ნდობაც მოიპოვა. მაგალითად, „ასტონ ვილასთან“ მატჩში (4:4) შეცვლაზე შესულმა გოლიც შეაგდო და პენალტიც მოინაგრა. „ნიუკასლთან“ საშინაო შეხვედრაში კი გრანტმა კაპიტნის სამკლავურიც ანდო.

შეძლებს თუ არა გერმანელი ისევ ისე გაბრწყინებას, როგორც „ბაიერნში“ იყო? ფეხბურთელს სჯერა, რომ ეს შესაძლებელია და მალე ყველა კრიტიკოსს მოაკეტინებს, რომლებიც „ჩელსიში“ მის გადასვლას ამრეზით უყურებდნენ. „პირველი სეზონი ძალიან მძიმე გამოდგა — თქვა ბალაკმა — ინგლისურის უცოდინრობამ დამტანჯა და ეს იყო მთავარი პრობლემა. გასახდელში მეხუმრებოდნენ, მე კი ვერაფერს ვიგებდი. არ ვიცოდი, რა და როგორ მეპასუხა და ამის გამო შებოჭილი ვიყავი. მსგავსი რამ „ბაიერნშიც“ ხდებოდა. როცა უცხო მოვიდოდა, თავიდან მორცხვად და წყნარად იქცეოდა, რაკი გერმანული არ იცოდა და თავს გუნდისგან გარიყულად გრძნობდა. როგორც კი ენას ისწავლიდნენ, იცვლებოდნენ და გვიშინაურდებოდნენ. პირადად მე დიდი ხანი დამჭირდა, სანამ ინგლისურ იუმორს ჩავწვდებოდი. აქ ხომ გერმანელების დაცინვა ყველას ეხალისება. როცა ინგლისის ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში ჩარჩა, ჩემი ჯერი დადგა და თანაგუნდელებზე შური ვიძიე“.

პირველი სეზონი ბალაკისთვის მართლაც მძიმე გამოდგა, რადგან გუნდში ვერ ჩაეწერა, ისევე როგორც ანდრეი შევჩენკო. მაურინიუ თითქმის ყოველ მატჩში ათამაშებდა, მაგრამ ხან შეცვლიდა, ხან შეცვლაზე შეუშვებდა. ამას მოჰყვა მძიმე ტრავმა, თუმც გერმანელი მაინც იმედიანადაა: „ახლა ვგრძნობ, რომ გუნდის სრულუფლებიანი წევრი ვარ. ქომაგებიც პატივს მცემენ, ქუჩაში მესალმებიან და ერთად სურათის გადაღებას მთხოვენ. ამის შემხედვარე ვხვდები, რომ „ჩელსიში“ გადასვლა სწორი ნაბიჯი იყო“.

„მისთვის კაპიტნის სამკლავური ტყუილად არ მიმიცია. ბალაკმა ეს დაიმსახურა, რაკი ლიდერის თვისებები აქვს და ამ მხრივ ტერისა და ლამპარდის შეცვლა შეუძლია“ — განაცხადა ავრაამ გრანტმა.

ვის დაუმეგობრდა ბალაკი ყველაზე მეტად? რა თქმა უნდა, მასსავით „დაჩაგრულ“ ანდრეი შევჩენკოს, ვისთან ერთადაც გუნდში მოვიდა. „ჩვენ ისეთი კარგი ურთიერთობა გვაქვს, რომ, დარწმუნებული ვარ, კარიერის დასრულების შემდეგაც შევინარჩუნებთ. უკვე ჩვენი მეუღლეებიც დამეგობრდნენ და ოჯახებით ხშირად დავდივართ სასეირნოდ. ჩვენ ხომ ერთად გამოვიარეთ აქაური მედიის წნეხი, რამაც კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ავტობუსშიც გვერდიგვერდ ვსხედვართ და ამას სკოლაში მისვლის პირველ დღეს შევადარებ, როცა გვერდით უცნობი ბავშვი გიზის და გრძნობ, რომ ახალი მეგობარი შეიძინე“.

**ვაჟა ხუციშვილი**



# მალტურმა ვალეტამ იუვენტუსი წააქცია

**ტურინის** „იუვენტუსმა“ 2008 წელი არცთუ კარგად დაიწყო. მართალია, ამხანაგურად, დიდი ენერგიის დაუხარჯავად და არაძირითადი შემადგენლობით, მაგრამ „ბებერმა ქალბატონმა“ მაინც წააგო „ვალეტასთან“ და მალტაზე შეკრება არცთუ მაჟორულ ნოტაზე დაასრულა.

„ბიანკონერი“ „ვალეტასთან“ რუბენ ოლივერას გოლით იგებდა, მაგრამ მონოსტეროლომ ანგარიში გაათანაბრა და საბოლოოდ მალტელებმა პენალტების სერიაში 5:4 იმარჯვეს. ტურინელთაგან თერთმეტმეტრიანი ანტონიო ნოჩერინომ ააცილა, ნიკოლა ლეგროტალიეს პენალტი კი მეკარემ აიღო.

„მალტის შეკრებას დადებითად ვაფასებ. მნიშვნელოვანია, რომ ტრავმა არავის მიუღია. „ვალეტასთან“ წაგება ნამდვილად არ გვინდოდა, მაგრამ შეცდომები დავუშვით და მოგვიწევს ამ მარცხთან შეგუება. გოლი სულელური შეცდომის შემდეგ გავუშვით და მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ახლა მთლიანად შაბათის მატჩზე ვართ გადართულნი. „კატანიასთან“ იოლი გასეირნება ნამდვილად არ გველის, მაგრამ ჩემი ბიჭების განწყობა და შემართება მომწონს“ — თქვა „იუვეს“ მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ.

„ბებერი ქალბატონის“ ლაზარეთში ჟორჟე ანდრადე და მაურო კამორანეზი რჩებიან. პორტუგალიელი მცველი, სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე ველარც გავა მინდორზე, კამორანეზი კი, წესით, თებერვლის პირველ რიცხვებში მაინც უნდა დაბრუნდეს რანიერის განკარგულებაში.

„სეზონის თითქმის მთელი პირველი ნაწილი ტრავმების გამო გამიცდა. ამჯერად გარისკვას აღარ ვაპირებ, თამაშს მხოლოდ მაშინ განვაახლებ, როცა ბოლომდე მოვმჯობინდები. ეს კი, ალბათ, თებერვალში მოხდება“ — განაცხადა კამორანეზიმ.

**გიორგი ქაქაბაძე**



# ბენზემას შეყვარებული მეხოპლანეტელია

**„ლიონის“** და საფრანგეთის ნაკრების ნიჭიერი ფორვარდი კარიმ ბენზემა „მილანს“ და „რეალს“ სიყვარულში გამოუტყდა. „გაძეტა დელო სპორტთან“ ინტერვიუში 20 წლის ფრანგმა თქვა, რომ ამ გუნდების ქომაგია, მაგრამ „ლიონიდან“ წასვლას ჯერ არ აპირებს.

ბენზემამ სეზონი რიხით დაიწყო და 12 გოლით ჩემპიონატის ბომბარდირია, სულ კი, ყველა შეჯიბრში, 23 გოლი მოაგროვა. მათ შორის, ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში გლაზგოში „რეინჯერსს“ გადამწყვეტ მატჩში გაუტანა, ხოლო გასულ უქმეებზე საფრანგეთის თასზე „კრეტეისთან“ ჰეთ თრიქი შეასრულა. მას უკვე adarებენ პლატინის, ზიდანს, პაპენს და ანრის და, რა გასაკვირია, რომ ბოლოლა ევროპული კლუბები ფორვარდზე „ნადირობენ“.

„მილანი“ ჩემი ოცნების გუნდია — გაამხილა ბენზემამ — ისედაც ვქომაგობდი და რონალდოს გადასვლის შემდეგ უფრო შემიყვარდა, რადგან მას ბავშვობიდან ვეთაყვანებოდი. იგი განსაკუთრებულია, სხვა პლანეტიდანაა. მადრიდის „რეალსაც“ ვგულშემატკივრობ, სხვა კლუბებიდან კი „მანჩესტერი“, „იუვენტუსი“ და „ინტერი“ მომწონს. „ლიონთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე მაქვს და ჟან მიშელ ოლას (კლუბის პრეზიდენტი) შევპირდი, რომ, სანამ ჩემპიონთა ლიგას არ მოვიგებთ, გუნდიდან არ წავალ. დარწმუნებული ვარ, ეს წელსვე შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ მერვედფინალში „მანჩესტერს“ ვხვდებით. ძალიან ძლიერი მეტოქეა, მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარია, კარი მშრალად შევინახოთ და შანსი აუცილებლად გვექნება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტოტენჰემის მწვრთნელო, მიწადასაყრელო...



„ემირატ სტედიუმზე“ „არსენალისა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თამაშის დაწყებამდე ინციდენტი მოხდა, ერთმანეთს ტოტენჰემელები, პოლ რობინსონი და ხუანდე რამოსი წაეკიდნენ. მეკარისა და მწვრთნელის ურთიერთდრენა ტრადიციულმა მიზეზმა განაპირობა — ლონდონური კლუბისა და ინგლისის ნაკრების კარის მცველმა შეიტყო, რომ ესპანელი თავკაცი არ ათამაშებდა და გაცეცხლდა. ჟურნალისტებმა ხმის ამაღლება პირველად სტადიონის ავტოსადგომზე მოისმინეს, როდესაც რამოსმა მანქანა დააყენა, შორიახლოს კი რობინსონი ალმოჩნდა. საერთოდ, როგორც ბოლო დღეებში გაირკვა, რამოსი „ტოტენჰემის“ წმენდას სხვებთან ერთად პოლ რობინსონითაც იწყებს. შაბათს, ფეხბურთის ასოციაციის თასზე „რიდინგთან“ ვერმოგების შემდეგ „შპორების“ შეფმა არც აცია, არც აცხელა და რობოს ნაცვლად კარი ჩეხ რადეკ ჩერნის ანდო, რამაც ნაკრების გოლკიპერს თავი განტევების ვაცად აგრძნობინა.

„რობინსონი ძალიან გაღიზიანდა, როდესაც შეიტყო, რომ „არსენალთან“ არ ათამაშებდნენ — უამბო ჟაუნალისტებს „ტოტენჰემის“ მავანმა წარმომადგენელმა, რომელმაც ყველაფერი თავისი თვალით იხილა — მან რამოსს პირდაპირ უთხრა, თუ რას ფიქრობდა ასეთ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ აშკარად დაინახა, რომ მწვრთნელმა ყურიც არ შეიბერტყა. პოლმა იცის, რომ გუნდიდან მისი გაშვება მზადდება“.

„მე საუკეთესოს ყოველი კონკრეტული მატჩის წინ ვარჩევ — განმარტა თავის მხრივ ხუანდე რამოსმა, რომელიც ამა თუ იმ ფეხბურთელისთვის პირველობის უპირობოდ მინიჭებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება — ჩვენს გუნდში 24 თუ 25 მოთამაშეა, მოედანზე კი მხოლოდ 11 უნდა იყოს. პოლი, რა საკვირველია, კარგი მეკარეა, რაც კარიერის განმავლობაში მრავალგზის დაუმტკიცებია, თუმცა, ჩემს განკარგულებაში მყოფ თითოეულ ფეხბურთელს ყოველდღიურად ვაკვირდები და გადაწყვეტილებას იმის მიხედვით ვიღებ. აი, მაგალითად, ამწუთას თავად ვერ გეტყვით, ვინ ითამაშებს შაბათს „ჩელსის“ წინააღმდეგ“.

**პაატა ძიდია**

# დუბაით კმაყოფილი მილანი




**იტალიურმა** „მილანმა“ სეზონის შუაში შეკრება დუბაიში გაიარა და კმაყოფილიც დარჩა. როგორც იქნა, „როსონერიმ“ სრულ შემადგენლობას მოუყარა თავი. ერთადერთი, ვინც ახლა კარლო ანჩელოტის აკლია, ვეტერანი ფილიპო ინძაგია, ვისაც ტრავმა გაუმიზეზდა და ჯერაც დასადგენია, თუ რამდენხანს მოუწევს უქმობა სუპერპიპოს.

„ჩემი აზრით, დუბაიში გამართული შეკრება ისეთივე ეფექტური იყო, როგორიც გასული წლის იანვარში მალტისა. წინა სეზონის პირველი ნახევარი ცუდად ჩავატარეთ, მაგრამ მერე ვითარება გამოვასწორეთ და საბოლოოდ, 2007 წელი ჩვენთვის ძალიან წარმატებული გახლდათ. იმედია, 2008 წელიც ასეთი იქნება“ — აღნიშნა გალიანიმ.

„როსონერის“ დაუბრუნდა ვეტერანი ბრაზილიელი რონალდო, რომელმაც ცოტახნის წინ „ფლამენგოს“ წინადადება უარყო. ამიერიდან თამაშის უფლება აქვს მის 18 წლის თანამემამულე ალეშანდრო პატოსაც, რომლის დებიუტიც, შესაძლოა, კვირას „ნაპოლისთან“ მატჩში შედგეს. მოგეხსენებათ, მილანელები მასზე დიდ იმედებს ამყარებენ.

ადრიანო გალიანი: „რონალდო, სულ მცირე, 30 ივნისამდე რჩება გუნდში. იმედია, უფრო დიდი ხნითაც, მაგრამ ეს მის ფორმაზე იქნება დამოკიდებული. რონის ნიჭიერებაში ეჭვი არავის ეპარება და მას ტექნიკური პრობლემებიც არ აქვს. მთავარია, ფიზიკურად იყოს მზად. რაც შეეხება პატოს, ვიმედოვნებ, „ნაპოლისთან“ მისი დებიუტი შედგება და ალეშანდრო დუბლს გაახერხებს. თუმცა, ვინ იქნება შემადგენლობაში და ვინ არა, ცხადია, მწვრთნელის გადასაწყვეტია“.

„ჩემი მიზანი „მილანში“ თამაში და ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებაა. დუბაის შეკრებით კმაყოფილი დავრჩი. ვფიქრობ, ნორმალურ ფორმაში ვარ და მწვრთნელს შეუძლია, ჩემი იმედი ჰქონდეს“ — განაცხადა რონალდომ.

პატო: „თამაშის დასაწყებად მზად ვარ. რასაკვირველია, გარკვეულ წნეხს ვგრძნობ და ცოტა ვნერვიულობ კიდეც, მაგრამ, შეიძლება ითქვას, მშვიდად ვარ. დიდი მადლობა თანაგუნდელებს, რომლებიც ყველანაირად გვერდით მედგნენ და ადაპტაციას მიიოლებდნენ. ვითამაშებ თუ არა „ნაპოლისთან“? ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია“.

**გიორგი ძაძაგაძე**


## კომაროვის სკოლის კურსდამთავრებულებს!

ყველა კომაროველს გიწვევთ ასოციაცია „კლუბი კომაროველის“ დაფინანსებით კომაროვის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე გადაღებული ფილმის პრეზენტაციაზე.
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე:
FAX: (995 32) 399316
TEL: (995 32) 399316
MOB: 877900400


## არასწორად გამიგეს

„შტუტგარტის“ სპორტულმა დირექტორმა ჰორსტ ჰელდტმა განაცხადა, რომ „ბაირენიდან“ ლუკაშ პოდოლსკის ყიდვას არ აპირებს და მისთვის კონტრაქტი არ შეუთავაზებია. „მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ თუ პოდოლსკის ტრანსფერზე დააყენებენ, ამ შემთხვევაში განვიხილავთ მის ვარიანტს. ჩემი სიტყვები არასწორად გაიგეს“ — განაცხადა დირექტორმა „ბილდთან“.

## დიდი ზიდანი პატარა რეალში

**მადრიდის** „რეალის“ ქომაგებს ოცნება აუხდათ — ზინედინ ზიდანი კლუბში დაბრუნდა. „რეალიდან“ წასვლის შემდეგ ფრანგმა თქვა, რომ კლუბის საფეხბურთო სკოლაში ბავშვებთან იმუშავებდა და სიტყვა შეასრულა. იგი ამჟამად უკვე საქმეშია და პატარებს ფეხბურთს ასწავლის. ზიდანი შთაბეჭდილების გაზიარებას არ ჩქარობს, რადგან კვლავაც ერიდება მედიას.

## მარადონა გაასუფთავეს

**დიეგო მარადონას** „მოძრავი მუზეუმი“ გაქურდეს. არგენტინელის კოლექციიდან დაახლოებით 600 ექსპონატი „აორთქლდა“. მათ შორის: მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე მიღებული ჯილდო, „ოქროს ბუცი“, პელესგან ნაჩუქარი ქამარი და ფიდელ კასტროსგან ნაბოძები ძღვენი. ძარცვაში ეჭვმიტანილია იმპრესარიო, რომელსაც „მოძრავი მუზეუმი“ ჯერ იტალიაში, მერე კი მექსიკასა და გერმანიაში უნდა ჩაეტანა და გამოფენა მოეწყო.

## ადა პორტელი

**დანიური** „ფრემის“ 19 წლის ფორვარდი ადა ჯეზირი „პორტსმუთში“ გადავიდა. თავდამსხმელმა სეზონის პირველი ნახევარი „ლესტერში“ გაატარა, სადაც „ფრემიდან“ იყო განათხოვრებული. ჯეზირიმ უკვე მოირგო „პორტსმუთის“ მაისურა და „ჩელსის“ მეორე გუნდთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა. გარდა ამისა, პორტელთა მცველ მეტ ტეილორის ყიდვა „ბოლტონს“ სურს და სამი მილიონი გირვანქის გადამხდელია.

## ფიფამ წესი შეცვალა

**გუნდიდან** გუნდში ფეხბურთელთა გადასვლის წესში ფიფამ ცვლილება შეიტანა. თუ ადრე მოთამაშეს ერთ სეზონში ორ კლუბზე მეტის გამოცვლა არ შეეძლო, ახლა ეს დასაშვებია. ფიფამ ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნა გაითვალისწინა, რადგან ამ და კიდევ რამდენიმე სხვა ქვეყანაში ჩემპიონატი გაზაფხულ-შემოდგომის სისტემით იმართება და იქ მოთამაშეები ძველი წესის გამო შეზღუდულები იყვნენ კლუბიდან კლუბში გადასვლისას.

**გაჟა ხუციშვილი**

# თითქმის გარკვეული ამბავი

„არსენალის“ გერმანელი მეკარე იენს ლემანი „დორტმუნდს“ გაურიგდა — ასეთია საკუთრივ ბუნდესლიგური კლუბის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. სხვა საქმეა, რომ პრინციპული შეთანხმების მიღმა კლუბსა და ფეხბურთელს რამდენიმე კერძო საკითხიც აქვთ მოსაგვარებელი და კონტრაქტს ხელს მხოლოდ ამის შემდეგ მოაწერენ.

„დორტმუნდის“ პრეს-მდივანი იოზეფ შნეკიც სწორედ ამას გულისხმობს, როდესაც ამბობს, რომ თუმც საკითხი არსებითად უკვე მოგვარებულია, იმის ოფიციალურად განცხადება, რომ 38 წლის გოლკიპერი უკვე გერმანული კლუბის წევრია, არ შეიძლება.

და ასეთ ფონზე ძალიან უცნაურია „არსენალის“ ფრანგი თავკაცის არსენ ვენგერის სიტყვები, თითქოს ლემანის დორტმუნდში გადასვლის ამბავი მართალი არ არის.

შნეკი: „საბოლოო გადაწყვეტილებამდე ლემანის პირადი საკონტრაქტო საკითხების მოგვარებაღაა დარჩენილი“.

საგულისხმოა, რომ მეკარის დორტმუნდში გადაბარგების თემას ამ დღეებში კომპეტენტური გერმანული გაზეთი „ბილდიც“ შეეხო. „ბილდში“ დორტმუნდელთა სპორტული დირექტორის მიხაელ ცორკის სიტყვებია მოყვანილი:



„ჩვენსა და ლემანს შორის ყველაფერი უკვე გარკვეულია. მოუგვარებელი ფინანსური საკითხებიც კი არ დაგვრჩენია“.

და მაინც, შნეკის თქმით იენს ლემანი უახლოესი ორი დღის განმავლობაში გერმანიაში არ ჩავა.

**პაატა ძიდია**

# სამეფოს სათასო ვნებანი

## ესპანეთი

### თასის 1/8 ფინალი
### I მატჩები

**სევილია 1:1 ბარსელონა**

0:1 ანრი (24), 1:1 კაპელი (44)

სევილია: დე სანქტისი, დანი ალვეში, მოსკერა, დრაგუტინოვიჩი, კრესპო, ადრიანუ (ხესუს ნავასი 54), პოულსენი, მარესკა (რენატო 54), კაპელი, ლუიშ ფაბიანო, ჩევანტონი (კერჟაკოვი 70)

მწვრთნელი: მანოლო ხიმენესი

ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, მარკესი, გ. მილიტო, აბიდალი, ედმილსონი (ტურამი 75), ხავი, ინიესტა, დოს სანტოსი (კრკიჩი 90), ეტოო (გუდიონსენი 85), ანრი

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: მარკესი, დოს სანტოსი, მილიტო, აბიდალი, პუიოლი, დრაგუტინოვიჩი, ხესუს ნავასი

მსაჯი: დაუდენ იბანიესი

45 000 მაყურებელი

**ბილბაო 1:1 ესპანიოლი**

0:1 სორიანო (68), 1:1 ლასკურაინი (78)

**ხეტაფე 3:0 ლევანტე**

1:0 ალბინი (35), 2:0 ხუან კასკერო (73), 3:0 პაბლო ერნანდესი (79)

**ბეტისი 1:2 ვალენსია**

0:1, 0:2 ხოაკინი (4, 11), 1:2 პავონე (47)

**უელვა 1:0 ვილიარეალი**

1:0 მ. კასერესი (2)

**სარაგოსა 1:1 რასინგი**

1:0 რ. ოლივეირა (21), 1:1 გარაი (75პ)

**„სევილია“** და „ბარსელონა“ „სანჩეს პისხუანზე“ კოპა დელ რეის მერვედფინალის პირველ შეხვედრაში ფრეს ვერ გაექცნენ. ანდალუზიელებმა და კატალონიელებმა ინჩასობას დაძაბული პირველი ტაიმი შესთავაზეს, რომლის დროსაც „ბარსა“ ტიერი ანრის შესანიშნავი გოლით დაწინაურდა. თუმცა მანოლო ხიმენესის ბიჭებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და კაპელის აქტიურობის წყალობით, ანგარიში გაათანაბრეს. მეორე ტაიმში კი სიტუაციის ბატონ-პატრონი „სევილია“ იყო, მაგრამ ანდალუზიურმა ფლაგმანმა გოლის შეგდება ველარ შეძლო და ახლა ყველაფერი „კამპ ნოუს“ ჯახში უნდა გადაწყდეს.



თამაში „ბარსას“ უპირატესობით დაიწყო, თუმცა კატალონიელთა იერიშებს სტიქიური ეთქმოდა და ამით კონტრშეტევებზე ჩასაფრებულ „სევილიას“ საგოლედ კარგი შანსები ეძლეოდა. პირველი ხიფათი კი მასპინძლებს ჯოვანი დოს სანტოსმა შეუქმნა, ვინც სახიფათოდ გაისროლა და მორგან დე სანქტისის კარის ძელს მოარტყა ბურთი.

ხსენებული ეპიზოდიდან რამდენიმე წუთში რაფა მარკესმა ტიერი ანრის გადასარევად უპასა და გოლზე დაგეშილ ფრანგსაც მიზნისთვის არ აუცილებია. თუმცა შეუპოვრად მებრძოლმა „სევილიამ“ იხტიბარი არ გაიტეხა — ადგილობრივთა იერიშებს სათავეში ჩევანტონი და ლუიშ ფაბიანო ჩაუდგნენ. გოლით კი კაპელმა იხეირა. შესვენებამდე ორიოდე წუთით ადრე, ვიქტორ ვალდესის კართან კუთხური მოაწოდეს და „სევილიას“ მარცხენაფლანგელმაც „ბარსას“ ფსიქოლოგიურად მძიმე დარტყმა მიაყენა. რაიკარდის შეგირდებმა გასახდელს დათრგუნულებმა მიაშურეს.

| 12536 | სიტარდი-დენ ბოსხი | 2.00 | 1.60 |
| 12537 | ოსი-მაასტრიხტი | 2.10 | 1.50 |
| 12546 | პორტუ-ბრაგა | 1.70 | 1.90 |
| 12547 | ფერეირა-მარიტიმუ | 1.50 | 2.10 |
| 12548 | სეტუბალი-გიმარაეში | 1.60 | 2.00 |
| 12549 | აკადემიკა-სპორტინგი | 1.60 | 2.00 |
| 12550 | ბელენენსეში-ნავალი | 1.60 | 2.00 |
| 12551 | ბენფიკა-ლეიშოეში | 1.90 | 1.70 |
| 12552 | ბოავიშტა-ლეირია | 1.60 | 2.00 |
| 12553 | ამადორა-ნასიონალი | 1.50 | 2.10 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13473 | ბულონი-აიაჩო | 1.90 | 1.70 |
| 13474 | ტრუა-ამიენი | 1.90 | 1.70 |
| 13475 | გრენობლი-ანჟე | 1.90 | 1.70 |
| 13476 | ნანტი-შატორუ | 1.90 | 1.70 |
| 13477 | ბასტია-კლერმონი | 1.90 | 1.70 |
| 13478 | ნიორი-გენგამი | 1.90 | 1.70 |
| 13479 | ბრესტი-ლე ავრი | 1.80 | 1.70 |
| 13480 | დიჟონი-მონპელიე | 1.90 | 1.70 |
| 13481 | ლიბურნი-რეიმსი | 1.80 | 1.70 |
| 13482 | გენიონი-სედანი | 1.90 | 1.70 |
| 13519 | ნაიმეგენი-ტვენტე | 1.70 | 1.90 |
| 13520 | უტრეხტი-ჰერენვენი | 1.40 | 2.20 |
| 13521 | ბრედა-ვენლო | 1.50 | 2.20 |
| 13522 | როდა-ტილბურგი | 1.80 | 1.70 |
| 13523 | გრონინგენი-ექსელსიორი | 1.70 | 1.90 |
| 13524 | ფეიენოორდი-პსვ | 1.60 | 2.00 |
| 13525 | აიაქსი-ალკმაარი | 1.50 | 2.10 |
| 13526 | ჰერაკლესი-სპარტა | 1.60 | 2.00 |
| 13527 | გრააფსხაპი-ვიტესი | 1.60 | 2.00 |
| 13528 | კამბური-ომნივორლდი | 1.40 | 2.20 |
| 13529 | ემენი-ტელსტარი | 1.40 | 2.20 |
| 13530 | ჰაარლემი-აპელდორნი | 1.40 | 2.20 |
| 13531 | ვოლენდამი-ეინდჰოვენი | 1.50 | 2.10 |
| 13532 | დორდრეხტი-ვეენდამი | 1.40 | 2.20 |
| 13533 | ჰელმონდი-დენ ჰააგი | 1.40 | 2.20 |
| 13534 | ვალვაიკი-იგლსი | 1.40 | 2.20 |
| 13535 | ზვოლე-როზენდალი | 1.40 | 2.20 |
| 13536 | სიტარდი-დენ ბოსხი | 1.50 | 2.10 |
| 13537 | ოსი-მაასტრიხტი | 1.40 | 2.20 |
| 13546 | პორტუ-ბრაგა | 2.00 | 1.60 |
| 13547 | ფერეირა-მარიტიმუ | 1.80 | 1.70 |
| 13548 | სეტუბალი-გიმარაეში | 1.80 | 1.70 |
| 13549 | აკადემიკა-სპორტინგი | 1.70 | 1.80 |
| 13550 | ბელენენსეში-ნავალი | 1.80 | 1.70 |
| 13551 | ბენფიკა-ლეიშოეში | 2.00 | 1.60 |
| 13552 | ბოავიშტა-ლეირია | 1.80 | 1.70 |
| 13553 | ამადორა-ნასიონალი | 1.80 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14473 | ბულონი-აიაჩო | 1.80 | 2.00 |
| 14474 | ტრუა-ამიენი | 1.30 | 2.50 |
| 14475 | გრენობლი-ანჟე | 1.75 | 2.10 |
| 14476 | ნანტი-შატორუ | 1.20 | 2.60 |
| 14477 | ბასტია-კლერმონი | 1.75 | 2.10 |
| 14478 | ნიორი-გენგამი | 1.75 | 2.10 |
| 14479 | ბრესტი-ლე ავრი | 1.90 | 1.90 |
| 14480 | დიჟონი-მონპელიე | 1.85 | 1.95 |
| 14481 | ლიბურნი-რეიმსი | 1.85 | 1.95 |
| 14482 | გენიონი-სედანი | 1.90 | 1.90 |
| 14519 | ნაიმეგენი-ტვენტე | 2.40 | 1.45 |
| 14520 | უტრეხტი-ჰერენვენი | 1.80 | 2.00 |
| 14521 | ბრედა-ვენლო | 1.45 | 2.40 |
| 14522 | როდა-ტილბურგი | 1.08 | 2.90 |
| 14523 | გრონინგენი-ექსელსიორი | 1.08 | 2.90 |
| 14524 | ფეიენოორდი-პსვ | 1.80 | 2.00 |
| 14525 | აიაქსი-ალკმაარი | 1.65 | 2.30 |
| 14526 | ჰერაკლესი-სპარტა | 1.80 | 2.00 |
| 14527 | გრააფსხაპი-ვიტესი | 1.80 | 2.00 |
| 14528 | კამბური-ომნივორლდი | 1.75 | 2.10 |
| 14529 | ემენი-ტელსტარი | 1.80 | 2.00 |
| 14530 | ჰაარლემი-აპელდორნი | 1.70 | 2.20 |
| 14531 | ვოლენდამი-ეინდჰოვენი | 1.20 | 2.60 |
| 14532 | დორდრეხტი-ვეენდამი | 1.30 | 2.50 |
| 14533 | ჰელმონდი-დენ ჰააგი | 1.85 | 1.95 |
| 14534 | ვალვაიკი-იგლსი | 1.30 | 2.50 |
| 14535 | ზვოლე-როზენდალი | 1.65 | 2.30 |
| 14536 | სიტარდი-დენ ბოსხი | 2.30 | 1.65 |
| 14537 | ოსი-მაასტრიხტი | 2.00 | 1.80 |
| 14546 | პორტუ-ბრაგა | 1.20 | 2.60 |
| 14547 | ფერეირა-მარიტიმუ | 1.80 | 2.00 |
| 14548 | სეტუბალი-გიმარაეში | 1.80 | 2.00 |
| 14549 | აკადემიკა-სპორტინგი | 2.50 | 1.30 |
| 14550 | ბელენენსეში-ნავალი | 1.45 | 2.40 |
| 14552 | ბოავიშტა-ლეირია | 1.65 | 2.30 |
| 14553 | ამადორა-ნასიონალი | 1.80 | 2.00 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15473 | ბულონი-აიაჩო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15474 | ტრუა-ამიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15475 | გრენობლი-ანჟე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15476 | ნანტი-შატორუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15477 | ბასტია-კლერმონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15478 | ნიორი-გენგამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15479 | ბრესტი-ლე ავრი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15480 | დიჟონი-მონპელიე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15481 | ლიბურნი-რეიმსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15482 | გენიონი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15519 | ნაიმეგენი-ტვენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15520 | უტრეხტი-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15521 | ბრედა-ვენლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15522 | როდა-ტილბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15523 | გრონინგენი-ექსელსიორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15524 | ფეიენოორდი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15525 | აიაქსი-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15526 | ჰერაკლესი-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15527 | გრააფსხაპი-ვიტესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15528 | კამბური-ომნივორლდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15529 | ემენი-ტელსტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15530 | ჰაარლემი-აპელდორნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15531 | ვოლენდამი-ეინდჰოვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15532 | დორდრეხტი-ვეენდამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15533 | ჰელმონდი-დენ ჰააგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15534 | ვალვაიკი-იგლსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15535 | ზვოლე-როზენდალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15536 | სიტარდი-დენ ბოსხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15537 | ოსი-მაასტრიხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15546 | პორტუ-ბრაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15547 | ფერეირა-მარიტიმუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15548 | სეტუბალი-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15549 | აკადემიკა-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15550 | ბელენენსეში-ნავალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15552 | ბოავიშტა-ლეირია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15553 | ამადორა-ნასიონალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16473 | ბულონი-აიაჩო | 1.65 | 2.05 |
| 16474 | ტრუა-ამიენი | 1.22 | 3.40 |
| 16475 | გრენობლი-ანჟე | 1.45 | 2.45 |
| 16476 | ნანტი-შატორუ | 1.11 | 5.70 |
| 16477 | ბასტია-კლერმონი | 1.50 | 2.30 |
| 16478 | ნიორი-გენგამი | 1.52 | 2.20 |
| 16479 | ბრესტი-ლე ავრი | 1.80 | 1.80 |
| 16480 | დიჟონი-მონპელიე | 1.75 | 1.85 |
| 16481 | ლიბურნი-რეიმსი | 1.75 | 1.85 |
| 16482 | გენიონი-სედანი | 1.95 | 1.65 |
| 16519 | ნაიმეგენი-ტვენტე | 2.90 | 1.32 |
| 16520 | უტრეხტი-ჰერენვენი | 1.62 | 2.05 |
| 16521 | ბრედა-ვენლო | 1.23 | 3.60 |
| 16522 | როდა-ტილბურგი | 1.08 | 5.00 |
| 16523 | გრონინგენი-ექსელსიორი | 1.05 | 5.70 |
| 16524 | ფეიენოორდი-პსვ | 1.65 | 2.05 |
| 16525 | აიაქსი-ალკმაარი | 1.30 | 3.00 |
| 16526 | ჰერაკლესი-სპარტა | 1.62 | 2.05 |
| 16527 | გრააფსხაპი-ვიტესი | 1.65 | 2.05 |
| 16528 | კამბური-ომნივორლდი | 1.52 | 2.20 |
| 16529 | ემენი-ტელსტარი | 1.58 | 2.10 |
| 16530 | ჰაარლემი-აპელდორნი | 1.40 | 2.55 |
| 16531 | ვოლენდამი-ეინდჰოვენი | 1.10 | 5.50 |
| 16532 | დორდრეხტი-ვეენდამი | 1.22 | 3.40 |
| 16533 | ჰელმონდი-დენ ჰააგი | 1.75 | 1.85 |
| 16534 | ვალვაიკი-იგლსი | 1.22 | 3.40 |
| 16535 | ზვოლე-როზენდალი | 1.32 | 3.00 |
| 16536 | სიტარდი-დენ ბოსხი | 2.90 | 1.32 |
| 16537 | ოსი-მაასტრიხტი | 1.95 | 1.65 |
| 16546 | პორტუ-ბრაგა | 1.10 | 5.50 |
| 16547 | ფერეირა-მარიტიმუ | 1.62 | 2.05 |
| 16548 | სეტუბალი-გიმარაეში | 1.58 | 2.10 |
| 16549 | აკადემიკა-სპორტინგი | 3.60 | 1.23 |
| 16550 | ბელენენსეში-ნავალი | 1.25 | 3.40 |
| 16552 | ბოავიშტა-ლეირია | 1.30 | 3.00 |
| 16553 | ამადორა-ნასიონალი | 1.55 | 2.20 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17473 | ბულონი-აიაჩო | 1.85 | 1.95 |
| 17474 | ტრუა-ამიენი | 1.85 | 1.95 |
| 17475 | გრენობლი-ანჟე | 1.85 | 1.95 |
| 17476 | ნანტი-შატორუ | 1.85 | 1.95 |
| 17477 | ბასტია-კლერმონი | 1.85 | 1.95 |
| 17478 | ნიორი-გენგამი | 1.85 | 1.95 |
| 17479 | ბრესტი-ლე ავრი | 1.85 | 1.95 |
| 17480 | დიჟონი-მონპელიე | 1.85 | 1.95 |
| 17481 | ლიბურნი-რეიმსი | 1.85 | 1.95 |
| 17482 | გენიონი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17519 | ნაიმეგენი-ტვენტე | 1.85 | 1.95 |
| 17520 | უტრეხტი-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |
| 17521 | ბრედა-ვენლო | 1.85 | 1.95 |
| 17522 | როდა-ტილბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17523 | გრონინგენი-ექსელსიორი | 1.85 | 1.95 |
| 17524 | ფეიენოორდი-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17525 | აიაქსი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17526 | ჰერაკლესი-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17527 | გრააფსხაპი-ვიტესი | 1.85 | 1.95 |
| 17528 | კამბური-ომნივორლდი | 1.85 | 1.95 |
| 17529 | ემენი-ტელსტარი | 1.85 | 1.95 |
| 17530 | ჰაარლემი-აპელდორნი | 1.85 | 1.95 |
| 17531 | ვოლენდამი-ეინდჰოვენი | 1.85 | 1.95 |
| 17532 | დორდრეხტი-ვეენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17533 | ჰელმონდი-დენ ჰააგი | 1.85 | 1.95 |
| 17534 | ვალვაიკი-იგლსი | 1.85 | 1.95 |
| 17535 | ზვოლე-როზენდალი | 1.85 | 1.95 |
| 17536 | სიტარდი-დენ ბოსხი | 1.85 | 1.95 |
| 17537 | ოსი-მაასტრიხტი | 1.85 | 1.95 |
| 17546 | პორტუ-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17547 | ფერეირა-მარიტიმუ | 1.85 | 1.95 |
| 17548 | სეტუბალი-გიმარაეში | 1.85 | 1.95 |
| 17549 | აკადემიკა-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17550 | ბელენენსეში-ნავალი | 1.85 | 1.95 |
| 17551 | ბენფიკა-ლეიშოეში | 1.85 | 1.95 |
| 17552 | ბოავიშტა-ლეირია | 1.85 | 1.95 |
| 17553 | ამადორა-ნასიონალი | 1.85 | 1.95 |

ენდი როდიკი



# ყუმბარმტყორცნები: ახალი გუჩიონე და ძველი როდიკი

**კაცები**
**ოკლენდი. ახალი ზელანდია. ჰარდი**
**საპრიზო 464 000 დოლარი**

**მეოთხედფინალი**

**ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — დავიდ ფერერი (1, ესპანეთი) 6:4 6:0; **ხუან-კარლოს ფერერო** (4, ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 4:6 6:3 6:4; **ხუან მონაკო** (3, არგენტინა) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 4:6 7:6 7:6; **ფილიპ კოლშრაიბერი** (7 გერმანია) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 6:3 6:4

საკმარისი იყო დავიდ ფერერზე გვეთქვა, დამდეგ სლემტურნირს ხეირიან ფორმაში ხვდებაო, რომ ესპანელი მეორე დღესვე ბეჭებზე გააკრეს. ოკლენდის მოქმედი ჩემპიონი არცთუ ძლიერმა ჟულიენ ბენეტომ დაიბრიყვა და ორ სეტში ადვილად მიჩოგნა. სხვათა შორის, ფრანგმა კარიერაში პირველად მოუგო ტოპათეულის წარმომადგენელს.

ფერერის მარცხისთვის შურისძიებას მისი თითქმის მოგვარე ხუან-კარლოს ფერერო შეეცდება, რომელმაც ნახევარფინალის საგზური ნიკოლას მასუს დამარცხებით მოიპოვა. მსოფლიოს ექსპირველი ჩოგანი ჯერჯერობით ნორმალურად გამოიყურება და ფინალში გასვლის მშვენიერი შანსიც აქვს, მაგრამ... ფერერზეც იგივეს ვამბობდით.

მეორე ნახევარფინალში ტურნირის მესამე ნომერი ხუან მონაკო გერმანული დერბის მომგებ ფილიპ კოლშრაიბერს შეხვდება.

**კაცები**
**სიდნეი. ავსტრალია. ჰარდი.**
**საპრიზო 465 000 დოლარი**

**მეოთხედფინალი**

**დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 6:4 6:2; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 6:3 6:3; **კრის გუჩიონე** (ავსტრალია) — ტომაშ ბერდიხი (3, ჩეხეთი) 4:6 7:6 6:4; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:2 6:4

კრის გუჩიონე აღარ ხუმრობს. ლეიტონ ჰიუიტის გამამწარებელმა აყლაყუდა ავსტრალიელმა გუშინ ტურნირს შემორჩენილი ბოლო განთესილი — ტომაშ ბერდიხიც მოინელა. ოზი ისევ თავისმა უძლიერესმა ცაციამ იხსნა, როცა გადამწყვეტ მომენტებში საჭირო ეისები ჩააგდო და ჩეხი ნაადრევი დასვენებისთვის „გაწირა“. ერთ-ერთი ასეთი მომენტი მეორე სეტის ტაიბრეკზე იყო, როცა ბერდიხს მატჩ-პოინტი ჰქონდა — თუმც ტომაშმა თავისი შანსი ვერ გამოიყენა, რითაც გუჩიონემ მშვენივრად ისარგებლა და ახლა კიდევ ერთ ჩეხ რადეკ შტეპანეკს შეხვდება.

მეორე ნახევარფინალში დმიტრი ტურსუნოვი ფაბრის სანტოროს დაეტაკება. ისე რუსმა უკვე ჩამოიცილა გზიდან ორი ფრანგი რიშარ (გასკე და სებასტიან გროჟანი) და არც მესამე გალის გასილაქებაზე იტყვის უარს.

**კაცები**
**კუიონგ კლასიკი. მელბურნი**
**ავსტრალია. ჰარდი**

**ნახევარფინალი**

**ენდი როდიკი** (აშშ) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:3 6:3

ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულ ენდი როდიკს ტიტულის შენარჩუნების მშვენიერი შანსი აქვს. გუშინ ენდი-ბოიმ დამაჯერებლად მოუგო არცთუ ურიგო ფორმაში მყოფ მარატ საფინს და ახლა ფინალში ფერნანდო გონსალეს-მარკოს ბაღდატისის წყვილში გამარჯვებულს შეხვდება.

იანკისთვის განსაკუთრებით სასიხარულო ის არის, რომ სრულ მზადყოფნაშია მისი ყუმბარმტყორცნი — გუშინ ენდი-ბოიმ თავის პირველ ჩამოწოდებულზე გათამაშებების 93 პროცენტი მოიგო და რაღა გასაკვირია, რუსი უშანსოდ რომ დატოვა. ნამატჩევს როდიკი ახალ საფარს ემადლიერებოდა:

„ეს ახალი კაუჩუკი მომწონს. ძველი სიცხეში ხურდებოდა და მოწოდების სიძლიერეს ანელებდა ხოლმე. ეს საფარი კი უფრო ხისტია, რაც ჩემნაირი ძლიერი მოწოდების მქონე მეჩოგნეებს მაგრად გამოგვადგება“.

**ქალები**
**სიდნეი ავსტრალია. ჰარდი**
**საპრიზო 600 000 დოლარი**

**ნახევარფინალი**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — ანა ივანოვიჩი (4, სერბეთი) 6:2 2:6 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — ნიკოლ ვაიდიშოვა (6, ჩეხეთი) 7:5 7:6

ანა ივანოვიჩი ბოლომდე კი ეომა ჟუსტინ ენინს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის — ჭინკა ბელგიელი დღეს უდავოდ საუკეთესო ქალი მეჩოგნეა, რასაც ის ყოველ შეხვედრაში ამტკიცებს. აგერ გუშინაც, სერბმა ლამაზმანმა უმაღლეს დონეზე იჩოგნავა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ენინმა მაინც თავისი გაიტანა და ფინალის საგზურიც მოიპოვა. ბელგიელი შარშან უიმბლდონის ნახევარფინალში წაგების შემდეგ აღარ დამარცხებულა და უკვე 27 შეხვედრაა, კორტს გამარჯვებულის რანგში ტოვებს.

ენინს არც ფინალში ელის იოლი გასეირნება, რადგანაც იქ ტურნირის მეორე ნომერი სვეტლანა კუზნეცოვა ელის. თავის მხრივ, რუსმა გადამწვეტ მატჩში თამაშის უფლება ნიკოლ ვაიდიშოვას წაქცევით მოიპოვა — ისე გუშინ კუზნეცოვამაც გვარიანად იწვალა და ახალგაზრდა ჩეხი ორივე სეტში მხოლოდ მიწურულისკენ გატეხა.

**ქალები**
**სიდნეი ავსტრალია. ჰარდი**
**საპრიზო 600 000 დოლარი**

**ნახევარფინალი**

**ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — ფლავია პენეტა (იტალია) 6:4 6:3; **ვერა ზვონარიოვა** (2, რუსეთი) — ემლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:2 6:1

ძნელი წარმოსადგენია, რამ უნდა შეუშალოს ხელი ვერა ზვონარიოვას ჰობარტის ტურნირის მოგებაში. რუსმა გუშინ სრულიად უპრობლემოდ გადაუარა ემლი ჰარკლროუდს და ავსტრალიური მზისგან ძალიან თუ არ დაისიცხა, ელენი დანილიდუსაც იგივე უნდა დამართოს.

**ქახა ლომჯიშვილი**

# ავსტრალიაში ველური ბარათები დაარიგეს

**გუშინ** ცნობილი გახდა იმ ჩოგბურთელთა ვინაობა, რომლებმაც ავსტრალიის ღია პირველობაზე ორგანიზატორებისგან მოწვევა, ანუ იგივე „უაილდ ქარდი“ მიიღეს.

კაცთა შორის ეს პატივი ჯო სირიანის, ალან ჯონსს, რობერტ სმიტს, ნიკ ლინდალს (ყველა ავსტრალია), დენის ისტომინს (უზბეკეთი), მატიე მონკურს (საფრანგეთი) და ჯესი ლევაინს (აშშ) ერგოთ.

ქალთა შორის კი იღბლიანები შემდეგი მეჩოგნეები აღმოჩნდნენ: კრისტინა უილერი, ჯესიკა მური, მონიკ ადამჩაკი, სოფი ფერგიუსონი (ყველა ავსტრალია), იარმილა გაიდოშოვა (სლოვენია), მატილდა იოჰანსონი (საფრანგეთი) და მედისონ ბრენგლი (აშშ).

# ძველი დეტექტივები მავნე ტენდენციების წინააღმდეგ

**შარშან** მატჩების ჩაწყობასთან და ჩოგბურთელთა ტოტალიზატორში თამაშთან დაკავშირებით მომრავლებული სკანდალების შემდეგ მსოფლიო ჩოგბურთის მესვეურები გამალებით ცდილობენ საპასუხო ზომების მიღებასა და ახალი პრობლემების თავიდან აცილებას.

მათი ბოლო ინიციატივა სკოტლენდ-იარდის ორი ყოფილი დეტექტივის — ჯეფრი რიზისა და ბენ განის დაქირავებაა, რომლებიც მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულ ყველა საქმეს გამოიძიებენ.

ოთხივე სლემტურნირის ორგანიზატორების, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF), ჩოგბურთის პროფესიონალთა ასოციაციისა (ATP) და ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) საერთო განცხადებაში ნათქვამია, რომ რიზი და განი განახორციელებენ საჩოგბურთო პროცედურების დამოუკიდებელ ანალიზს და გამოიკვლევენ ბუკმეიკერთა ფსონებიდან მომავალ საფრთხეებს.

ორივე ექსპერტს უკვე აქვს ასეთ სფეროში მუშაობის გამოცდილება. რიზი კრიკეტის მსოფლიო კავშირში მის მიერვე შექმნილი ანტიკორუფციული განყოფილების ხელმძღვანელია, განი კი ბრიტანულ საცხენოსნო სპორტში „ჩაწყობასთან“ არსებულ პრობლემებს ებრძვის.

„შეჯიბრებათა სამართლიანობა და გამჭვირვალეობა მთელი სპორტის საძირკველია. ამიტომაც ვაპირებთ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ ყოველგვარ ტენდენციებთან ბრძოლას“ — განაცხადა ATP-ის თავმჯდომარე პიერ დე ვილიერსმა.

# ნალბანდიანის ზურგი



**დავიდ ნალბანდიანმა** შეიძლება, წლის პირველი სლემტურნირი გამოტოვოს. არგენტინელს ზურგის ტკივილები აქვს, რის გამოც ის იძულებული გახდა „კუიონგ კლასიკის“ საჩვენებელ ტურნირზე თამაშზე ხელი აეღო. ექიმებმა პატაგონიელს ორი-სამი დღე წოლითი რეჟიმი გამოუწერეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნალბანდიანს სლემტურნირისთვის სავარჯიშოდ დრო თითქმის არ რჩება.

თუმც თავად ჩოგბურთელი ოპტიმიზმს არ კარგავს:

„ვფიქრობ, ყველაფერი რიგზე იქნება. ექიმებმა განმიცხადეს, ზურგის კუნთები გაიჭიმეო და დასვენება მირჩიეს. თუმც შაბათს ვეცდები, 30-40 წუთი მაინც წავივარჯიშო და ვნახოთ, როგორ ვიგრძნობ თავს. არადა, ტურნირისთვის თვენახევარი არანორმალურ რეჟიმში ვემზადებოდი და მელბურნში სრულიად ჯანმრთელი ჩამოვედი, ახლა კი ეს რაღაც გამოტყვრა — მოკლედ, არ მიმართლებს“.

**ქახა ლომჯიშვილი**

კალათბურთი

# პირადი მწვრთნელის თვალით დანახული ზაზა ფაჩულია

შთამბეჭდავი გასული სეზონის შემდეგ ზაზა ფაჩულიას აღარ უმართლებს. ნბა-ს მიმდინარე ჩემპიონატში „ატლანტას" ქართველი ცენტრი ძალიან იშვიათად ჩნდება მოედანზე და ამის მიზეზი გაუთავებელ ტრავმებთან ერთად, „ქორების" ახალბედა ალ ჰორფორდია. ამ ახალგაზრდა ახმახმა ატლანტელებს გაუმართლა და გუნდის უპირველეს მომხსნელად იქცა. მიუხედავად ამისა, ზაზა მაინც ითვლება ატლანტელთა ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრად, რაზეც ეს ინტერვიუც მიუთითებს, რომელიც ამერიკელმა ჟურნალისტებმა ფაჩულიას პირად მწვრთნელ ფათიჰ ჩუკას ჩამოართვეს...



— პირველად სად შეხვდით ზაზას?

— 1997 წელს გავიცანი, როცა თურქეთში მწვრთნელად ვმუშაობდი. მე ალბანეთიდან ვარ, თუმცა 1990 წლიდან ანკარაში წავედი სამუშაოდ. 1996 წლიდან სტამბოლში გადავედი, სადაც „ულქერში" მწვრთნელად მოვეწყვე და სწორედ იქ გავიცანი ზაზა. ის 14 წლის იყო, როცა „ულქერში" მოვიდა.

იმ პერიოდში მე „ულქერის" ახალგაზრდული გუნდის ტექნიკური დირექტორი ვიყავი. ჩვენ ვცდილობდით, პერსპექტიული ბავშვების მოძიებას და ერთ-ერთი ასეთი საქართველოს დედაქალაქ თბილისში აღმოვაჩინეთ და სტამბოლში ჩამოვიყვანეთ. ზაზა მართლაც ძალიან მაღალი იყო. ის თავისი ასაკის ბავშვებში შაკილ ონილივით გამოირჩეოდა.

როცა მე ის პირველად ვნახე, გავოცდი. ზაზაში ძალიან დიდი პოტენციალი დავინახე. ერთი კვირის ვარჯიშის შემდეგ მე, „ულქერის" მთავარმა მწვრთნელმა და გენერალურმა მენეჯერმა გადავწყვიტეთ, ზაზა იმ მოტივით აგვეყვანა, რომ მერე ძირითად გუნდში გამოგვეყენებინა.

მე მაშინ პრესაში დავწერე, რომ ზაზა თუ ასე გააგრძელებდა, ნბაში გადასვლა შეეძლო. ფაჩულიამ მხოლოდ ერთი წელი ითამაშა ახალგაზრდულ გუნდში და მას შემდეგ ძირითად ხუთეულში გადავიყვანეთ.

ზაზა კარგი შენაძენი იყო ჩვენთვის. ნებისმიერი გუნდისთვის გამოცდილი მოთამაშეები ფასობს, მაგრამ ფაჩულია გამონაკლისი იყო. ის არასრულწლოვანი გახლდათ, მაგრამ გამარჯვებაში ისე გვეხმარებოდა, როგორც ჩვენი გუნდის გამოცდილი მოთამაშეები.

ამასობაში, ზაზას მამა გარდაეცვალა. ეს ამბავი მთელმა „ულქერმა" ტრაგიკულად აღიქვა და ისე გამოვიდა, რომ ფაჩულია ჩვენი შვილობილი გახდა. ჩემი ბიჭი ზაზაზე ორი წლით უმცროსია და მე მას როგორც საკუთარ შვილს, ისე აღვიქვამდი.

ზაზა ძალიან მონდომებული იყო. ამავდროულად, ის სწავლასაც ასწრებდა. ორი წლის მერე მე ამერიკაში წავედი სამუშაოდ, თუმცა ფაჩულიასთან კონტაქტი არ გამიწყვეტია. მე მას ყოველდღე ვეხმიანებოდი. ჩვენ ვლაპარაკობდით „ულქერზე", მის მიღწევებზე და ერთხელაც ზაზამ დამირეკა და მეუბნება, რომ დრაფტზე აპირებდა დადგომას. ის სავარჯიშოდ ამერიკაში წამოვიდა და დრაფტზე „ორლანდომ" აირჩია.

ზაზას პირველ სეზონში ბევრი სათამაშო დრო არ ჰქონია, რის გამოც ნერვიულობდა, მაგრამ მე მას ვეუბნებოდი, რომ გულმოდგინედ ევარჯიშა. თუკი ზაზა ვარჯიშებში გულს ჩადებდა, მას ეს აუცილებლად დაუფასდებოდა.

ფაჩულიას ვარჯიში მართლაც დაუფასდა. ამასობაში, მე მასთან მივედი და ყველაფერში ვეხმარებოდი. ზაზას ყოველდღე ვავარჯიშებდი. დილაობით ორლანდოს პლაჟზე დავრბოდით, საღამოს კი მოედანზე ვემზადებოდით.

ზაზა კარგ ფორმაში ჩადგა და ამასობაში საქართველოს ნაკრებშიც გამოიძახეს. ჩვენ ჩავედით იტალიაში და ფაჩულიამ ყველა გააოცა. მას სანაკრებო ამხანაგურ მატჩებში საშუალოდ 25 ქულა და 16 მოხსნა ჰქონდა.

**— რას იტყვით ზაზას ახლანდელ თამაშზე?**

— მიუხედავად იმისა, რომ ფაჩულია ძალიან მონდომებული და სრულყოფილი მოთამაშეა, მას ჯერაც ბევრი აქვს დასახვეწი. ყველაზე მეტად ზაზას გამოცდილება სჭირდება. მას ბევრი შეცდომა მოსდის, თუმცა ეს ახალგაზრდობის ბრალია. ყველაზე კარგი ისაა, რომ მას შეცდომებზე სწავლა შეუძლია.

**— როცა თქვენ და ზაზა ერთად ვარჯიშობთ, ყურადღებას რაზე ამახვილებთ?**

— ეს სიტუაციიდანაა გამომდინარე. თუმცა უფრო ხშირად დაცვით კომპონენტებზე ვვარჯიშობთ.

**— რამდენად ხშირად ავარჯიშებთ ზაზას?**

— როცა „ატლანტა" გასვლით თამაშებს ატარებს, ჩვენ არ ვვარჯიშობთ, ხოლო, როცა მისი გუნდი შინაა, ვცდილობთ, რაც შეიძლება, ნაყოფიერად ვიმუშაოთ. ეს, ძირითადად, საღამოს ხდება, „ატლანტას" დილის ვარჯიშის შემდეგ.

**— ამ ბოლო დროს ზაზას ტრავმები გაუხშირდა და ეს რისი ბრალია?**

— მას წლეულს იღბალმა ზურგი აქცია, რაც, ძირითადად, მის ტრავმიანობაში გამოიხატა. აქამდე არასდროს მინახავს, რომ ფაჩულიას ამდენი ტრავმა ასე მოკლე ხანში მიეღო. ექიმებმა თქვეს, რომ მას დასვენება უნდა. ჩვენც გავჩერდით და ველოდებით, რომ მისმა ორგანიზმმა ძველი გამძლეობა აღიდგინოს.

# შერმადინის დრაფტი ჯერ ჯაკოა

**სუპერლიგა 2007** გუშინ სპორტულმა რადიო „ჯაკომ" შეაჯამა, რომელმაც კალათბურთში მოსაქმე 20 რესპოდენტის გამოკითხვის შედეგად საქართველოს ჩემპიონატის 5 საუკეთესო მოთამაშე გამოავლინა. დაჯილდოების ცერემონიალს კლუბმა „თორმეტმა მაგიდამ" უმასპინძლა, რომელსაც საკალთბურთო სამყაროს ვეტერანებიც დაესწრნენ.

ვეტერანები ტყუილად არ გვიხსენებია. „ჯაკოს" გალა-საღამო საუკეთესო მოთამაშეთა დაჯილდოებაზე ღვაწლმოსილი მწვრთნელის ლევან ინწკირველის 80 წლის იუბილეც აღინიშნა.

შეკრების მთავარ ინტრიგას რაც შეეხება, მისი შედეგი არავისთვის ყოფილა მოულოდნელი. 20 გამოკითხული რესპოდენტიდან 17-მა საუკეთესოდ „მაკაბის" 215-სანტიმეტრიანი და ნბა-ს სადრაფტოდ მომართული ცენტრი გიორგი შერმადინი დაასახელა. საკმაო ხმები დააგროვა „ენერჯი-ინვესტის" გამთამაშებელმა ლაშა გამყრელიძემაც, რომელიც საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა.

რადიო „ჯაკოს" ვერსიით სუპერლიგის 2007 წლის საუკეთესო ხუთეული კი ასეთია:

***გიორგი შერმადინი*** *(მაკაბი)*

*ლაშა გამყრელიძე (ენერჯი)*

*კოტე ტულუში (ავიამშენი)*

*რიჩარდ მათიაშვილი (თსუ)*

*იოვან სტეფანოვი (ენერჯი)*

ძიუდო

# ნაკრები თბილისშია და თბილისისთვის ემზადება

*26-27 იანვარს სპორტის სასახლეში თბილისის მსოფლიოს თასი გაიმართება. ძიუდოში ჩახედულებს კარგად მოეხსენებათ, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ამ ტურნირს ოლიმპიადის ლიცენზიების მოსაპოვებლად. ჩვენი ნაკრებიც დიდი მონდომებით ემზადება და ქართველი მოჭიდავეები ისედაც განებივრებულ ქომაგებს იანვრის მიწურულს სავარაუდოდ არაერთი ლამაზი შეხვედრით გაახარებენ. ნაკრებმა ბაკურიანის შეკრება უკვე გაიარა. ახლა თბილისური ეტაპი მიმდინარეობს. ბაკურიანში აქცენტი უფრო ფიზიკურ მომზადებაზე იყო გადატანილი, ხოლო თბილისურ ეტაპზე მეტწილად ყურადღება ტექნიკური დეტალების დახვეწას და ორთაბრძოლებს დაეთმობა.*

*თბილისის ტურნირისთვის მზადების პერიპეტიებზე საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ* ***შოთა ხაბარელს*** *ვკითხეთ...*



— როგორ მოემზადა საქართველოს ნაკრები თბილისის მსოფლიო თასისთვის და გუნდში დანაკლისი ხომ არ გაქვთ?

— მომზადება ჯერ არ დამთავრებულა. მხოლოდ პირველი ეტაპი გავიარეთ ბაკურიანში. ახლა თბილისში ვვარჯიშობთ. რაც შეეხება დანაკლისს, საბედნიეროდ, არ გვაქვს.

გუნდი ოპტიმალური შემადგენლობით წარდგება ქართველი გულშემატკივრების წინაშე — ანუ მათ, ვისაც თბილისის ტურნირისთვის ლიცენზია უკვე მოპოვებული ჰქონდათ, დაემატნენ საქართველოს ჩემპიონატზე გამარჯვებულები და რიგ შემთხვევებში საპრიზო ადგილებზე გასულებიც.

— თუ არის ცნობილი, რომელი გუნდები ჩამოდიან თბილისში?

— ორმოცამდე ნაკრები ჩამოდის და მათ შორის მსოფლიოს ყველა ფავორიტი ნაკრებიც.

— ბოლოს ზურაბ ზვიადაურზე მინდა გკითხოთ. როგორც ვიცით, ის ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს. როგორ გგონიათ, შეძლებს ზურა ღირსეულ დაბრუნებას, ამას ალბათ ყველა მისი ქომაგი ელოდება...

— ზურა ვარჯიშებზე ძალიან მოწადინებულია, შემართებით შრომობს. ვნახოთ, წინასწარ რაიმეს თქმა გამიჭირდება.

**ზურაბ მიბრიაული**

ხელბურთი

# ნორვეგიამდე დუშეთი იქნება

**გუშინდელ** „სარბიელში" გვეწერა, რომ ხელბურთის ფედერაციას ფინანსური პრობლემების გამო ნაკრების ნორვეგიაში გასამართი „ჩელენჯ ტროფის" ფინალისწინა დასკვნით შეკრებაზე წაყვანა არ შეუძლია.

ეს შეკრება თელავში უნდა გამართულიყო, თბილისში კი ფედერაციამ ისეთი დარბაზი ვერ მოძებნა, სადაც გათბობა იქნებოდა. ასეთი მხოლოდ სპორტის სასახლეა და იქ ვარჯიში საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

სპორტის დეპარტამენტმა ფედერაციას ალტერნატიული ვარიანტი შესთავაზა, დუშეთის სპორტის სასახლის სახით. გადაწყდა, რომ ნაკრები დუშეთში მომზადებას 12 იანვრიდან დაიწყებს და სავარაუდოდ იქ 17-მდე დარჩება. უკვე მოგვარებულია ნორვეგიაში გამგზავრების ფინანსური საკითხები, რაშიც ხელბურთის ფედერაციას სპორტის დეპარტამენტმა გაუწია დახმარება.

გაირკვა, რომ ლეგიონერთაგან 12-ში სერგო დათუკაშვილი ჩამოვა, 13-ში — ვლადიმერ რუსია, ხოლო 14 იანვარს რევაზ ჭანტურიას ელოდებიან.

**ლევსო მაისურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბოსტონის ბოსტანი ბოსტანამ შეჭამა


შარლოტელმა ჯეისონ რიჩარდსონმა „ბოსტონს" 34 ქულა ჩაუკალათა

9 იანვარი

**ატლანტა 90:81 კლივლენდი**

ატლანტა: ე. ჯონსონი (5), ჯ. ჯონსონი (29), მ. უილიამსი (12), სმიტი (19), ჰორფორდი (10 ქულა, 15 მოხსნა); ჩილდრესი (12), ლოუ (3), რაიტი, ლუ, შ. უილიამსი, ვესტი

ფაჩულიას არ უთამაშია

კლივლენდი: ჰიუზი (5), პავლოვიჩი, ჯეიმსი (31 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), გუდენი (10 ქულა, 11 მოხსნა), ილგაუსკასი (7); ბრაუნი (12), ჯონსი (8), გიბსონი (6), ვარეჟაო (2)

**ბოსტონი 83:96 შარლოტი**

ბოსტონი: გარნეტი (24), პირსი (13), რონდო (13)

შარლოტი: რიჩარდსონი (34), მუჰამედი (18 ქულა, 10 მოხსნა), ფელტონი (16), ვოლესი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**ფინიქსი 129:122 ინდიანა**

ძირითადი დრო 112:112

ფინიქსი: ბელი (27), ბარბოსა (27), სტუდემაიერი (25 ქულა, 11 მოხსნა), მერიონი (23 ქულა, 12 მოხსნა)

ინდიანა: გრეინჯერი (22 ქულა, 11 მოხსნა), უილიამსი (22), ტინსლი (19 ქულა, 11 პასი), რაში (14), დანლივი (14)

**პორტლენდი 109:91 გ. სტეიტი**

პორტლენდი: ბლეიკი (24), ოლდრიჯი (19), ვებსტერი (16), ჯონსი (16)

გოლდენ სტეიტი: ბარნსი (14)

**დალასი 102:86 დეტროიტი**

დალასი: ნოვიცკი (23), ჰარისი (19), ტერი (15), სტეკჰაუსი (15)

დეტროიტი: ჰამილტონი (18), ბილაფსი (16)

**კლიპერსი 106:113 ორლანდო**

კლიპერსი: მაგეტი (27), ტომასი (20), კამანი (17)

ორლანდო: თურქოღლუ (28), ლუისი (20), ჰოვარდი (17 ქულა, 17 მოხსნა)

**ტორონტო 10996 ფილადელფია**

ტორონტო: პარკერი (22), ბოში (21), კალდერონი (17)

ფილადელფია: გრინი (19), იგუდალა (16), იანგი (16)

**ნიუ ჯერსი 99:88 სიეტლი**

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (28), კარტერი (18), კიდი (16 ქულა, 11 პასი)

სიეტლი: პერტო (22), კოლისონი (18 ქულა, 13 მოხსნა)

**ნიუ იორკი 92:101 ჰიუსტონი**

ნიუ იორკი: კროუფორდი (21), რობინსონი (16), მარბერი (16)

ჰიუსტონი: მინი (36 ქულა, 11 მოხსნა), ალსტონი (20), სკოლა (16)

**მილუოკი 98:92 მაიამი**

მილუოკი: უილიამსი (35), ბოგუტი (17)

მაიამი: ვეიტი (34), უილიამსი (23)

**ნიუ ორლეანი 80:109 ლეიკერსი**

ნიუ ორლეანი: პოლი (32), ვესტი (19)

ლეიკერსი: ბრაიანტი (19), ბინამი (17), უოლტონი (14)

ზაზა ფაჩულიას თითის ტრავმა აქვს და ამის გამო გაუცდა წლეულს ყველა თამაში. მანამდე ის რამდენიმე წუთით, ისიც სიმბოლურად თუ შედიოდა მოედანზე და იქიდან ბევრიც არა გამოჰქონდა რა, „კლივლენდთან" თამაში კი სრულად გამოტოვა.

„ატლანტამ" კი მის გარეშეც მოუგო ძლიერ მეტოქეს, რომელიც ამ დროისთვის აღმოსავლეთის გაერთიანებულ ცხრილში მისი მეზობელი და კონკურენტია. კლივლენდის მეგავარსკვლავმა ლებრონ ჯეიმსმა ატლანტელებს 31 ქულა ჩაუგდო, თანაც აქედან 14 ბოლო მეოთხედში გააზერზა (არცერთ მისიანს მთლიანად თამაშში არ მოუგროვებია ამდენი), თუმც „კლივლენდმა" 13-ქულიანი ჩამორჩენიდან ბოლო მეოთხედში მხოლოდ მცირედი ამოიღო.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, „შარლოტ ბობქეთსის" მიერ „ბოსტონ სელტიქსის" მისსავე დარბაზში ძლევა. ამას თამამად შეიძლება ეწოდოს წლის სენსაცია, რაკილა ამჟამად ლიგაში საუკეთესო შედეგის მქონე ბოსტონს" მიმდინარე სეზონში შინ 14 თამაშიდან 13 ჰქონდა მოგებული და რაღა უბადრუკ „შარლოტთან" (1-11 გასვლებზე) უნდა წაეგო? მაგრამ წააგო და თანაც უშანსოდ. ბოსტონელებს თავის სამართლებელ საბუთად არ გამოადგებათ ერთ-ერთ ლიდერ რეი ალენის არყოფნა.

შინ მარცხს ძლივს გადაურჩა „ფინიქსიც". არიზონელებს აკლდათ ვეტერანი გრანტ ჰილი, მესამე მეოთხედში კი ლიდერი სტივ ნეშიც დაემტვრათ. „ინდიანამ" შეძლო და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა, მეტი კი ვეღარ მოახერხა და ზედიზედ მერვე გასვლა წააგო.

სენსაციურმა „პორტლენდმა" „გოლდენ სტეიტი" პირველივე მეოთხედში დაამარცხა, როცა 30:14 დაწინაურდა და შინ ზედიზედ მე-12, ბოლო 18 თამაშში კი მე-17 გამარჯვება ჩაიქტივა.

ზედიზედ მეხუთე შეხვედრა მოიგო 2006 წლის პლეი ოფის ფინალისტმა „დალასმა". ნანადირევიც სოლიდურია — „დეტროიტი". იმ ფინალში მისმა სასწაულებრივად მძლეველმა „მაიამიმ" კი — უკვე ალარავის უკვირს და — ისევ წააგო, ზედიზედ მეცხრედ.

**კოტე ყორშია**

# არენასი ორჭოფობს



**„ვაშინგტონ ვიზარდსის"** ლიდერი ჯილბერტ არენასი ალბათ მთელ საზონს გამოტოვებს. ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო მექულემ თვენახევრის წინ მუხლის ოპერაცია გაიკეთა, უკვე მეორედ ბოლო შვიდ თვეში და წინასწარი გამოთვლით, დაახლოებით თებერვლის ბოლოს უნდა გამოსულიყო მოედანზე, მაგრამ კალათბურთელი ისე დაუშინებია თავის ორგზის გაჭრილ მუხლს, რომ ორჭოფობს — ბარემ მთელი სეზონი ხომ არ დამესვენა და თამაში 2008 წლის შემოდგომაზე დამეწყოო...

„მთავარია, ჯანმრთელად ვიყო. თუ 110 პროცენტით მზად არ ვიქნები, არ მინდა, რომ გამოვიდე და თავი საფრთხეში ჩავიგდო — ამბობს არენასი — ოპერაცია გასულ სეზონის ბოლოსაც ხომ გავიკეთე და ხომ ხედავთ, ისევ დამჭირდა. კვლავ რომ დავიმტვრე, მერე რაღა იქნება?"

ისე, „ვაშინგტონი" საუკეთესო მექულის გარეშეც არ გრძნობს თავს მაინცდამაინც დაჩაგრულად — აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე-მერვე ადგილებს შორის „მოძრაობს" და საპლეიოფო ზონაში იოლად ინარჩუნებს ადგილს. მაგრამ თუ ამ ბრძოლაში გაუჭირდა?

„...ასეთ შემთხვევაში, ცხადია, დავბრუნდები და გაზაფხულზე შევეშველები ჩემს გუნდს. თუ არ გამნელდა პლეი ოფში მოხვედრა, მაშინ თავს მივხედავ და შემდეგი სეზონისთვის განვეწყობი."

**კოტე ყორშია**



# უილკინსონის მემკვიდრე

## კიპრიანი თამაშ-თამაშ სწავლობს

**ბრაიან ეშტონმა** ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ექვს ერზე სათამაშოდ ინგლისური „ვოფსის" ახალგაზრდა ტალანტი, გამთამაშებელი დენი კიპრიანი იხმო. მართალია, ის სულ 20 წლისაა, მაგრამ სახელიანი „ვოფსის" თითქმის შეუცვლელი მობურთალია. დენი უნივერსალური მორაგბეა. მას შეუძლია როგორც გამთამაშებლად, ასევე მცველად თამაში. მართალია, ამჟამად „ვარდების" 10-ნომრიანი მაისურა ლეგენდარულ ჯონი უილკინსონს აცვია, მაგრამ ეშტონი იმედოვნებს, რომ დენის რიგ შეხვედრებში ექვსი ერის პირველობაზე ძირითადში მოუწევს რაგბობა.

„ვიცი, რომ დენი უნივერსალური მორაგბეა. სხვადასხვა ამპლუაში თანაბრად შეუძლია თამაში. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდაა. შეცდები, სათადარიგო არ გავხადო. გასულ სეზონში „ვოფსის" რიგებში როგორც მცველმა ისე ითამაშა, ახლა მშვენივრად ირჯება გამთამაშებლის ამპლუაში და მის მომავალს ნაკრებშიც 10 ნომრად ვხედავ" — განაცხადა ეშტონმა.

თავად კიპრიანი კი აღფრთოვანებულია ნაკრებში რომ დაუძახეს. სიხარული მან ჟურნალისტებსაც გაუზიარა: „რაც ეს ამბავი გავიგე, მას მერე ძალიან აღელვებული ვარ. ეს დიდი ბედნიერებაა, თან ვითამაშო და თან, მაგალითად, ისეთი მორაგბისგან ვისწავლო, როგორიც ჯონი უილკინსონია. სულმოუთქმელად ველოდები ექვს ერზე ჩემს პირველ ჯახს. გარწმუნებთ, ძალებს არ დავზოგავ".

**ზურაბ მიგრიაული**

# დიდი კაპიტანი ნაკრებიდან წავიდა

**საფრანგეთის** ნაკრებიდან წავიდა „მამლების" სტაჟიანი კაპიტანი რაფაელ იბანიესი. 34 წლის მორკინალს ლურჯების მაისურით 98-ჯერ უთამაშია და აქედან 41-ჯერ უკაპიტნია. მისი დებიუტი ნაკრების შემადგენლობაში 1996 წელს უელსის წინააღმდეგ შედგა, ნაკრების მაისურათი ბოლო ჯახმა კი 2007 წლის მსოფლიოს თასზე არგენტინასთან მოუწია. იბანიესი 1999 და 2007 წლის მსოფლიოს თასებზე გაისარჯა კაპიტნის სამკლაურით და ფრანგული რაგბის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდეს „მეთაურად" ითვლება.

**ზურაბ მიგრიაული**





ლუის ჰემილტონი და ჰეიკი კოვალაინენი

# ჰარმონიული და საპასუხისმგებლო ჰემილტონი პარტნიორით კმაყოფილია

**შარშანდელი** საპირველფორმულო სეზონის უმთავრესმა სენსაციამ, პირველივე წელს ლამის ჩემპიონობის მომპოვებელმა ინგლისელმა ლუის ჰემილტონმა, „მაკლარენის" ახალი ბოლიდის პრეზენტაციისა და გუნდში „რენოდან" ფინელი ჰეიკი კოვალაინენის გადასვლის შემდეგ კომენტარები გააკეთა ახალი მანქანისა და ახალი პარტნიორის შესახებ.

ჰემილტონის აზრით, კოვალაინენის მოსვლით გუნდი უფრო შეკრული იქნება, ვიდრე შარშან იყო, როდესაც ლუისსა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ესპანელ ფერნანდო ალონსოს შორის არნახულ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი.

„ერთი და იგივე კითხვას სხვადასხვა ადამიანმა სხვადასხვანაირი პასუხი შეიძლება გასცეს — ფილოსოფიურად აღნიშნა ჰემილტონმა და დასძინა — არ ვიცი, ვისთვის როგორ, მაგრამ ასე მგონია, რომ კოვალაინენის მოსვლით გუნდი შარშანდელზე ჰარმონიული და შეკრული იქნება. ჰეიკისთან ერთიერთობაში არანაირი პრობლემა არ მაქვს და მის კომპანიაში თავს კომფორტულად ვგრძნობ. ჩვენ ძალიან ბევრ კითხვაზე ერთნაირი პასუხი გვაქვს და ისე მგონია, რომ დიდი ხანია ვიცნობ მას.

ამავდროულად, ის სხვა გუნდიდან არის მოსული და აქედან გამომდინარე, „მაკლარენში" მისი საქმიანობა სხვებისგან განსხვავებულია, რადგანაც მას აქვს სხვა ინფორმაცია და სხვა გუნდში მუშაობის გამოცდილება.

რა თქმა უნდა, ის ამბიციურია და ნათლად ვხედავ, რომ სურს, ტრასაზე ჩემზე სწრაფი იყოს. ანალოგიური სურვილი მაქვს მეც — მინდა, მასზე ძლიერი ვიყო, მაგრამ ამ ყველაფერს სამართლიანი საფუძველი აქვს. ის ისეთივე მრბოლია, როგორიც მე".

ჰემილტონის აზრით, ახალ ბოლიდზე გადასვლა უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეა. „საჭიროა ძალიან ბევრი კილომეტრის გავლა, რათა კონსტრუქტორთა ნალვაწი და მთელი გუნდის მიერ გაწეული შრომა სასურველი მიმართულებით წავიდეს. ეს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეა, თუმც არ ვნერვიულობ და მჯერა, რომ მე და ჰეიკი ამ საქმეს თავს გავართმევთ" — განაცხადა ლუისმა.

**ქახა ლომაძე**



# ახალი დუკატი ძველი სტოუნერით და ახალი მელანდრით

**იტალიურმა** მოტოგუნდმა „დუკატიმ" დოლომიტის ალპებში მდებარე სამთო კურორტ მადონა დი კამპილიოში წლევანდელი სეზონისთვის შექმნილი ახალი მოტოციკლის პრეზენტაცია მოაწყო. ერთგვარ ყინულის სარკოფაგში მოთავსებული „დუკატი" „ტყვეობისგან" მსოფლიოს ჩემპიონმა, ავსტრალიელმა კეისი სტოუნერმა და მისმა ახალმა თანაგუნდელმა, „ჰონდადან" გადმოსულმა იტალიელმა მარკო მელანდრიმ გაათავისუფლეს.

„ეს მშვენიერი მომენტია — განაცხადა პრეზენტაციის შემდეგ სტოუნერმა — მე მოხარული ვარ აქ ყოფნით. მიუხედავად იმისა, რომ იძულებული ვიყავი, ჩემი ქორწინების პირველ წლისთავს ავსტრალიიდან მომავალ თვითმფრინავში შევხვედროდი. მე მოხარული ვარ, რომ ისე „დუკატის" წევრი ვარ და იმასაც ვხედავ, რომ გუნდშიც კმაყოფილნი არიან ჩემით. რაც შეეხება ახალ მოტოციკლს, მე არ მომითხოვია მასში კარდინალური ცვლილებების შეტანა, რადგანაც ძველი მოდელიც უაღრესად კონკურენტუნარიანი იყო. უბრალოდ, ახლა გარკვეულ ელემენტებზე მოგვიწევს მუშაობა. ჩემი მიზანი, ბუნებრივია, შარშან მოპოვებული ტიტულის შენარჩუნება იქნება და ვეცდები, უფრო სწრაფი ვიყო".

ახალ გუნდში მოხვედრით გამოწვეულ სიხარულს, არც მარკო მელანდრი მალავდა. „ბედნიერი ვარ, რომ „დუკატის" ოჯახის წევრი გავხდი. ყოველთვის ვოცნებობდი ამ მოტოციკლზე. როდესაც ახალი ეკიპირება გავისინჯე, წარმოუდგენელი განცდა დამეუფლა. ჩემთვის ახალი, უფრო დიდი შესაძლებლობები გაიხსნა. გაოცებული ვარ, თუ როგორ მუშაობენ „დუკატის" თანამშრომლები. მიუხედავად იმისა, რომ შარშან მათ ჩემპიონობა მოიპოვეს და დიად მიზანს მიაღწიეს, ერთი წუთითაც კი არ შეუსვენიათ. დარწმუნებული ვარ, რომ წლეულს ძალიან ძლიერები ვიქნებით" — განაცხადა მელანდრიმ.

**ქახა ლომაძე**





# პაკიაოს ჰატონი უთხრეს

**მსოფლიოს** ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივე მენი პაკიაოს პრომოუტერმა ბობ არუმმა განაცხადა, რომ რიკი ჰატონის შტაბში მის კლიენტთან ბრძოლის სურვილი გამოუთქვამთ. ასეთ ჯახებზე ჭორები ხშირად ჩნდება ხოლმე, მაგრამ მათი უმეტესობა მალევე კვდება. თუმც კონკრეტულად ამ ბრძოლის იდეამ შეიძლება ხორცი შეისხას, რადგანაც პაკიაო-ჰატონის დატაკებით ფრიად დაინტერესებული ყოფილა პროფესიული კრივის ბრძოლების ტრანსლიაციაების უფლების მფლობელი ყველაზე მსხვილი ტელეკომპანია HBO.

ტელეკომპანიის მესვერებს მშვენივრად მოეხსენებათ, რომ როგორც პაკიაოს, ისე ჰატონს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით უამრავი გულშემატკივარი ჰყავთ — შესაბამისად მათი ჯახი დიდ ინტერესს გამოიწვევს და მოგებაც სოლიდური იქნება. ხოლო იქ, სადაც დიდი ფულის შოვნის სუნი დგება, როგორც წესი, ყველა [illegible]ბა გაზაფხულის [illegible] ხოლმე.

"ორიოდ დღის წინ მენისთან ვსაუბრობდი და ხოსე მანუელ მარკესთან მის მომავალ ბრძოლაზე ვსაუბრობდით. სწორედ აქ მოვიდნენ HBO-ს წარმომადგენლები და განგვიცხადეს, რომ ჰატონის შტაბში ამ წლის ბოლოს პაკიაოსთან დაჯახების შესაძლებლობას განიხილავენ".

როგორც ხედავთ, ეს საკმაოდ შორეული მომავლის საქმეა. მანამდე კი პაკიაოს 15 მარტს მარკესთან დანიშნული ბრძოლისთვის მზადება მოუწევს. ფილიპინელი ამ ჯახის მოგების შემთხვევაში სავარაუდოდ მსუბუქ წონაში WBC-ს ვერსიით ჩემპიონ დევიდ დიასს დაეტაკება. ჰოდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება წავიდეს საუბარი პაკიაოს ჰატონთან დაჯახებაზე.

**ქახა ლომაშვილი**



# ლუონგომ ოლ სტარს ცოლი ამჯობინა



**ჰოკეის** გულშემატკივართა ერთ-ერთმა რჩეულმა, „ვანკუვერის" კარის დარაჯმა რობერტო ლუონგომ, რომელიც დასავლეთ კონფერენციის ძირითად მეკარედ აირჩიეს, უარი განაცხადა 27 იანვარს ატლანტაში დაგეგმილ ოლ სტარზე ითამაშოს. კიპერის განცხადებით, მას ამ დღეების თავის ფეხმძიმე მეუღლესთან გატარება სურს:

„გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ოჯახი ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ რეგულარული ჩემპიონატის, ანაც მით უმეტეს პლეი ოფების დროს სახლში ამდენი დროის გატარების შანსი აღარ მექნება".

ლუონგო „ვანკუვერის" რიგებს 23 იანვარს, „სენტ ლუისთან" საშინაო შეხვედრის შემდეგ დატოვებს და გუნდს ფლორიდაში, „ტამპასთან" მატჩის წინ (31 იანვარი) შეუერთდება.

ოლ სტარზე კი ლუონგოს ადგილს, სავარაუდოდ, „კოლუმბუსელი" პასკალ ლეკლერი დაიკავებს.

**ქახა ლომაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

9 იანვარი

**ვაშინგტონი 2:1 კოლორადო**

*0:0 0:0 2:1*

1:0 ბრაშირი (43), 2:0 სტეკელი (57), 2:1 სვატოში (57)

**ჩიკაგო 1:3 დალასი**

*1:1 0:0 0:2*

1:0 ლანგი (7), 1:1 ერიკსონი (19), 1:2 ბარნსი (54), 1:3 მოროუ (60)

**ანაჰაიმი 5:0 ტორონტო**

*2:0 0:0 3:0*

1:0 ბერტუცი (3), 2:0 პერი (20), 3:0 ბოჩენსკი (45), 4:0 უაიტი (47), 5:0 კუნიცი (50)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge